№ 212. ორშაბათი 30 მარტი 1915 წ.

წლიწადი მეხუთე.

ფასი გაზეთისა: წლიურად 2 მ. 50 კ., ნახევარი წლით—1 მ. 25 კ. საზღვარ-გარედ ორჯერ მეტი.

თითო ნომერი 5 კაპ.

განცხადებათა ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 15 კ. უკანასკნელ გვერდზე—10 კაპ., ტექსტის შუაგულს—20 კაპ. სამგლოვიარო განცხადების ერთხელ დაბეჭდვა—3 მან.

# თემი

№ 212. ორშაბათი 30 მარტი 1915 წ.

წლიწადი მეხუთე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.

დაწუნებულ წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს

რედაქციის კონტორის ბინა: ოლგას ქ., სახლი დიასამიძისა, № 4

ტელეფონი 6—60.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. გამოდის ორშაბათობით.

## ახალი კლუბი

ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით

აჩვენებენ თეატრ კინო პალასის

სინემატოგრაფის საშუალებით სხვა და სხვა სურათებს

დასაწყისი საღამოს $7\frac{1}{2}$ საათზე.

ყოველ ღამ უკრავს სიმებიანი ორკესტრი

ს. ი. პრესმანის ლოტბარობით.

## სახალხო სახლი

ორშაბათს, 30 მარტს 1915 წ. თბილისის ქართული დრამატიული დასის ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი იქნება:

## კაი გრაკხი

ტრაგ. 5 მოქმ. ვ. მონტისა, თარგმ. ივ. მაჭავარიანისა.

ადგილების ფასი: 1 მ. 20 კ.-დან 10 კ.-მდე, დასაწყისი საღ. 7 ნახევარ ს.

რეჟისორი მ. ქორელი.

## თბილისი, 30 მარტი

არა მარტო თბილისის, არამედ მთელი დანარჩენი საქართველოს და საერთოდ კავკასიის შეგნებულ საზოგადოებაში ეროვნების განურჩევლად სადღეისო აუცილებელ საჭიროებად მიჩნეულია ერობის შემოღება ჩვენს მხარეში.

ეს ცხოვრების მოთხოვნილება განსაკუთრებით ახლანდელმა დუხჭირმა დრომ წამოაყენა. როდესაც არაჩვეულებრივმა ომიანობამ დაჰბადა თავის საკუთარი საჭიროებანი, აუცილებელი გახდა ჩვენში იმ ორგანოების გაჩენაც რომელნიც თვალსაჩინოდ უმსუბუქებენ ომის დროსაგან გამოწვეულ ტვირთს შიდა რუსეთის მკვიდრთ. სრულიად რუსეთის საერობო კავშირმა აქამდინ ხეირიანად ვერ მოაწესრიგა დაჭრილთა დახმარების საქმე კავკასიაში მხოლოდ საერობო დაწესებულებათა უქონლობისა გამო. ომმა თავისდათავად სრულიად დაარღვია ჩვენი სოფლური ცხოვრება და მეურნეობა, რომელიც არასოდეს არ გვქონდა ისედაც აყვავებული. ომის გათავების შემდეგ, როდესაც მოულოდნელად დარღვეულ ცხოვრებას ყველგან შეუდგებიან დაწყობა-დალაგებას, ქალაქები უფრო კარგ მდგომარეობაში იქნებიან, ვიდრე ჩვენი სოფლები. პირველნი კარგა ხანია ჰსარგებლობენ თვითმართველობის დაწესებულებათა სიკეთით მაშინ, როდესაც ჩვენი სოფლები ისევ უმწეო მდგომარეობაში არიან პოლიციის სინაბარა დატოვებულნი. ამიტომ იქ, სადაც გონიერი ხალხი მოიძებნება ჩვენს სოფლებში, ყველგან ხმა-მაღლა გაისმის სამდურავი, რომ აქამდინ მედგრად არ ვიბრძვით დაბრკოლებათა წინააღმდეგ და ხელს არ ვანძრევთ ერობის შემოსაღებად ჩვენში.

დღესაც ვბეჭდავთ საყურადღებო წერილს ბ. პროვინციელ მკითხველისას და მოგვყავს უმთავრესი ადგილები გ. თუმანიშვილის წერილიდან, რომელიც დაიბეჭდა ქუთაისის ჟურნალ „განთიადის“ უკანასკნელ ნომერში. ორივე ავტორები საჭიროდ სთვლიან ერობის რაც შეიძლება მალე შემოღებას ჩვენში.

გ. თუმანიშვილი „განთიადში“ დაბეჭდილ წერილში, სხვათა შორის ამბობს: „ომი რომ გათავდება, ჩვენმა ხალხმა ხელ-ახლად უნდა მოითხოვოს ერობის შემოღება ჩვენს ქვეყანაშიო“. ხოლო იგივე გ. თუმანიშვილი „კავკაზსკოე სლოვოს“ 27 მარტის ნომერში ურჩევს ჩვენს საზოგადოებას მიჰმართოს იმ გზას, რომლითაც დღეს შემოიღეს საქალაქო თვითმართველობა პოლონეთში, ე. ი. ძირითად კანონების 87 მუხლში ნაჩვენებ გზას. გ. თუმანიშვილის აზრით ჩვენში ვინმემ, ან დეპუტატებმა, ანდა ადგილობრივმა ადმინისტრაციამ უნდა შეადგინოს ერობის პროექტი და ყველანი უნდა ეცადონ მთავრობას დაამტკიცებინონ იგი სათათბიროს მოწვევამდე.

ჩვენ სულით და გულით ვუერთდებით ჩვენ პატივცემულ მებრძოლს კავკასიაში საერობო იდეის ოდეს მისი მალე განხორციელების სურვილში, მაგრამ ვერ დავეთანხმებით მას გზის ამორჩევაში.

87 მუხლი—ეს მეტად სახიფათო საშუალებაა, რომ მასზე მიუთითოს საზოგადო, თუ პოლიტიკურმა მოღვაწემ. თუ ერთხელ მას შეუძლია სიკეთის მოტანა, მეორეჯერ მას სიავის გაჩენაც შეუძლია. ჩვენ უკვე ვიგემეთ ერთხელ ამ გზის სიმწარე. ეს საკონსტიტუციო პრინციპის დარღვევაა და ჩვენ მას ვერ მივმართავთ. არც გვგონია რომელიმე ჭეშმარიტი კონსტიტუციონალისტი—დეპუტატი დასთანხმდეს: განსვენებული დეპუტატი ვარლამ გელოვანი, თუმცა ძალიან დაინტერესებული იყო ერობის პროექტის მალე შედგენით, იგი მაინც არასოდეს არ დასთანხმდებოდა 87 მუხლის ნაჩვენებ გზით სიარულს. ეს ჩვენ ძალიან კარგად ვიცით. მერე არც არის დასაჯერებელი, რომ მთავრობა დასთანხმდეს ამ გზით ერობის შემოღებას ჩვენში. დაუცხრომელი მოტრფიალე ერობისა გ. თუმანიშვილი გვითითებს პოლონეთში საქალაქო თვითმართველობის ამ გზით შემოღების მაგალითზე, მაგრამ ეს სულ სხვა ამბავია.

პოლონეთის საქალაქო დებულების პროექტი ჯერ კიდევ 1913 წელს იყო დადასტურებული სახ. სათათბიროს მიერ. სათათბირომ ამ პროექტით ნება დართო პოლონური ენის ხმარება საქალაქო თვითმართველობის დაწესებულებათა საქმის წარმოებაში. ეს მუხლი არ მოიწონა სახ. საბჭომ და ამის გამო უარჰყო სათათბიროსაგან დადასტურებული ერობის პროექტი. რამდენადაც ვიცით თვით უმაღლესი მთავრობის გავლენიანი წარმომადგენელნიც წინააღმდეგი არ იყვნენ პოლონური ენის ხმარებისა პოლონეთის ქალაქების თვითმართველობაში. ასე რომ სახ. საბჭო უფრო მემარჯვენე გამოდგა მთავრობაზე. ამიტომ თვითმართველობის შემოღება 87 მუხლის გზით ადვილი იყო მთავრობისათვის. შესაძლებელია, ბევრი კიდეც გაახარა ამ სწრაფმა გარდაწყვეტილებამ მთავრობისამ. მაგრამ ასეთი გზა ყოველთვის სიკეთის მომტანი არ არის.

ჩვენ ისევ უნდა ვიმოქმედოთ ძველის გზით. შევადგინოთ პროექტი, რომელიც უფრო ადვილად გასატარებელი იქნება სათათბიროში და ვეცადოთ, რომ სათათბიროს პირველსავე სესსიაში განიხილონ და დაადასტურონ. ამაში ყველამ უნდა ხელი შეგვიწყოს, თორემ საქმე გვიფუჭდება დაგვიანებით და, შესაძლებელია, მომავალში ისეთი კრიზისი დაგვიდგეს სოფლად, რომ სიღატაკის გამო არ[...] იქნეს შესაძლებელი ერობის შ[...]ღება.

ჩვენ ისე ვართ მოწყურებული საერობო ცხოვრებას, რომ ვერ ვიტანთ წყურვილის მოუკვლელობას.

ჩვენმა დეპუტატებმა უნდა ყოველივე ღონე იღონონ, რომ როგორმე ხელი შეუწყონ სათანადო პროექტის შემუშავებას და სათათბიროში რაც შეიძლება მალე ამ პროექტის შეტანას. ჩვენის მხრით, რასაკვირველია, დეპუტატებს უნდა გავუწიოთ ყოველივე დახმარება რითაც კი შევეძლება.

## ერობა და ჩვენი სოფელი.

ჩვენი სოფლებისათვის ერობის საჭიროება რაც ხანი გადის, მით უფრო საგრძნობი ხდება. ცხოვრება რთულდება, ფართოვდება, რის გამოც დღევანდელი მისი ბატონ-პატრონნი მასზე ღირსეულ ზრუნვას ვერ ახერხებენ. სოფელს თანდათან ახალ-ახალი მოთხოვნილება ებადება და მას ვერ აკმაყოფილებს ის, რითაც იოლად კმაყოფილდებოდა დღემდის. დღეს ცხოვრების პირობების შეცვლასთან ერთად შეცვლილია არსებობის ბრძოლის იარაღებიც. განმარტოებული, სხვაზე დამოუკიდებელი ცხოვრება ამ ჟამად შეუძლებელი გახდა. ჩვენ ისევ ძველი იარაღებით ვართ აღჭურვილი და ჩვენი უბედურებაც სწორედ ამაშია.

შეიცვალა ცხოვრება, ცხოვრების პირობები, მაგრამ არ შეცვლილა მართვა-გამგეობის საქმეები. ეს მართვა-გამგეობა დღესაც იგივეა, რაც იყო 40—60 წლის წინ. ეს გარემოებაა მიზეზი, რომ სოფლის საქმეებს მზრუნველი ხელი აკლია.

დღევანდელმა ომიანობამ ერთხელ კიდევ ზედმეტად ცხადჰყო საჭიროება სოფლად საერობო თვითმართველობის შემოღებისა. როგორ შეუძლია ადმინისტრაციას თავი გაართვას დღევანდელ გართულებულ ცხოვრებას და სათანადო პატრონობა გაუწიოს სოფელს?

ომიანობამ, როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე რუსეთში, სულ ერთიან შესცვალა სოფლის ცხოვრება. ოჯახს მუშა ხელი წაერთვა, მოესპო შემოსავლიანი წყაროები და მით შეირყა გლეხის ოჯახი. რუსეთში სოფელს და გლეხის შერყეულ ოჯახს საკმაო მზრუნველები აღმოუჩნდა. ერობამ, მთავრობამ და კოოპერატივებმა გაჭირვებულ გლეხს ხელი გაუწოდეს. გაერთიანებული საერობო თვითმართველობანი და კოოპერაციები დიდ დახმარებას უწევენ.

ჩვენში კი ამ მხრით სურათი სრულიად უნუგეშოა. მართალია სოფელს ინტელიგენტი ძალები არ აკლია, მაგრამ გაფანტულნი, გაბნეულნი ვერაფერს ხდებიან და ხალხის უმწეო მდგომარეობას მცირედაც ვერ აუმჯობესებენ. ამ მიზეზით ხალხის გულშემატკივართა გულწრფელი გოდება ხალხის გაჭირებაზე რჩება ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა.

ჩვენში სოფელზე სათანადო მზრუნველობას ვერც მთავრობა იჩენს და ვერც კოოპერაციები. სოფელი დღეს აუტანელ მდგომარეობაშია. მარშანდელი მოუსავლობისაგან გამოწვეული სიმშილი და დღევანდელი ომისაგან შექმნილი დუხჭირი პირობები სოფლის ცხოვრებაზე ძალიან ცუდ გავლენას ახდენენ. ამისთანა დროს ხალხში გადასახადები ჩვეულებრივად იკრიბება და ეს გლეხის ოჯახის განიავებას უდრის. სადა აქვს დღეს გლეხს საშუალება, რომ მეოჯახეობის დაუნგრ[ევლ]ად გადასახადები გაისტუმროს? ამ[ის]თვის მან უნდა გაჰყიდოს ან მარჩენ[ელ]ი ხარი და ან სხვა რამ საოჯახო [ნ]ივთი...

[ხ]ალხის ეს მდგომარეობა გაითვალისწინა გურიის ზოგიერთ საზოგადოების სამღვდელოებამ და ხალხს დრამის ფული აპატია. სასურველია დასავლეთ საქართველოს ყოველი საზოგადოების სამღვდელოება ასე მოიქცეს. ამასთანავე უნდა აღძრულ იქნეს შუამდგომლობა, რომ გადასახადების შეკრება დროებით შეჩერებულ იქნას.

——

ცუდი გზები, მექრთამეობა, მოხელეთა თვითნებობა, საზოგადოების ფულების ფლანგვა მოხელეების მიერ და საერთოდ ცხოვრების მოუწყობლობა,—აი რა ახასიათებს დღევანდელ სოფლის ცხოვრებას. ვინ უნდა იზრუნოს გზების გაკეთებაზე, არხების გაყვანაზე, გაუმჯობესებულ სამეურნეო იარაღების გავრცელებაზე და სხვა ასეთ საქმეებზე? მთავრობას ამგვარ საქმეებზე მზრუნველათ მამასახლისი ჰყავს მიჩნეული, მაგრამ შეუძლებელია მამასახლისმა სოფლის გართულებულ ცხოვრების ყოველ მოთხოვნილებას შესაფერისი ანგარიში გაუწიოს. სად შეუძლია ერთ პირს გადასახადებიც მოჰკრიბოს, ჩხუბის საქმეებიც გაარჩიოს, გზების გაყვანაზე იზრუნოს და სხვა!.. დღეს მას გარდა გადასახადების მოკრებისა და თავის საქმეების გარჩევისა ყველაფერი დავიწყებული აქვს...

შეუძლებელია ასეთი საქმეები დაეკისროს კერძო პიროვნებასაც. ამ საქმეების მოგვარება კერძო პიროვნების ძალას აღემატება. კერძო პიროვნებას [...] წინააღმდეგ, გაუვრცელებია საუკეთესო სათესლეები, უზრუნვია მიწის გაპოხიერებაზე და სხვა, რომ ეს შეეძლოს და გააკეთოს მან ახლა ჩვენში? ყველგან ასეთ საქმეებზე ზრუნავს განსაკუთრებული თვითმართველობის დაწესებულება. რუსეთში ამგვარ თვითმართველობას წარმოადგენს ერობა, რომელიც, მართლაც, დაუფასებელ სამსახურს უწევს სოფელს.

ჩვენში ერობის მოწინააღმდეგეები ამბობენ: ერობისათვის საჭირო და შესაფერისი ძალები არ მოგვეპოვება. ეს საბუთი მაშინაც კი არ იყო მართალი, როდესაც პირველად დაიწყეს ლაპარაკი ერობის შემოღების შესახებ, თორემ ეხლა ძალიან მოძველებული და გამცვდარია. თქმა იმისა, რომ ძალები არა გვყავსო, ყოვლად შეუწყნარებელია. სოფელში ინტელიგენტი—ძალები ძალიან ბევრია და კიდევ უფრო მეტი იქნება, როდესაც მათ საერობო თვითმართველობა ეღირსება. დღევანდელი მცონარე ინტელიგენტი მაშინ საერობო თვითმართველობის წყალობით გამოსადეგი შეიქნება. ერობის დროს მუშაობის პირობები სულ სხვა შეიქნება, ვიდრე დღეს არის. ესეც არ იყვეს, სოფელში ისეთი ელემენტებიც იმყოფებიან, რომელთაც გულწრფელად შესტკივათ სოფლისათვის გული და რომელნიც დღეს თანამგრძნობლებს და გამამხნევებლებს მოკლებული არიან.

ომიანობამ, როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, ერობის საჭიროება კიდევ უფრო ნათელჰყო და დღეს სოფელს ისე არაფერი არ ესაჭიროება როგორც ერობა. დღეს ამ სისხლის წვიმების დროსაც კი არავინ არ უნდა დაივიწყოს სოფლის ეს უდიდესი საჭიროება. ყველგან და ყველას უნდა ველაპარაკოთ, რომ ცხოვრების დღევანდელი პირობები სოფელს უფსკრულამდი მიიყვანს, უკეთუ არ შეიცვალა მისი ეს მდგომარეობა და არ ეღირსა ერობა.

პროვინციელი მკითხველი.

——

ზემომოყვანილი საგულისხმო წერილი ბ. პროვინციელ მკითხველისა, გამოგზავნილი ჯერ კიდევ თებერვალში, ერთხელ კიდევ ცხადად ჰყოფს იმ მორიგ საჭიროებას, რომლის დაკმაყოფილება აუცილებელია ამ ჟამად. ყველა მიმართულების ჩვენმა ინტელიგენციამ უნდა გაიხადოს ამის მოთხოვნა სადღეისო ლოზუნგად და ხმა მაღლა ილაპარაკოს ამის შესახებ. აგრეთვე ჩვენმა თვითმართველობებმა, წოდებრივი არიან ისინი, თუ უწოდებრივო, ყველამ უნდა აღძრან სათანადო მთავრობის წინაშე შესაფერი შუამდგომლობანი.

დღეს ჩვენ თვალწინ უკვე მაგალითია. იქ, სადაც აქამდინ არ უნდოდათ საქალაქო თვითმართველობის მინიჭება რუსეთის საკანონმდებლო დაწესებულებათა მემარჯვენე წრეებს, იქაც სხვაფრივ დატრიალდა საქმე. დეპეშამ უკვე გვაცნობა, რომ პოლონეთში შემოიღეს საქალაქო თვითმართველობა, სწორედ იმისთანა, რომელიც ჰმოქმედებს დღეს შიდა გუბერნიებში მხოლოდ ისეთი ცვლილებით, რომელიც მთავრობის თვალსაზრისით საჭირო იყო ადგილობრივ ცხოვრებისათვის.

ჩვენც დაუყონებლივ უნდა ვიმოქმედოთ. დაე ისეთი მოგვცენ, რომელიც უფრო მალე შეიძლება მივიღოთ. ნაკლს მერე შევისრულებთ.

სწორედ ამ საკითხსაც იხსენებს ჟურნალ „განთიადის“ უკანასკნელ ნომერში ერობის ჩვენში შემოღების იდეისათვის ცნობილი მებრძოლი გ. თუმანიშვილი.

იგი მოუთხრობს მკითხველს, რომ ამ ოციოდე წლის წინად იყო აღძრული როგორც თბილისისა, ისე ქუთაისის თავად-აზნაურობის მხრით შუამდგომლობა ერობის შემოღების შესახებ ჩვენში. ამ ათი წლის წინადაც მთავრობის განკარგულებით მოწვეული [...] ჩვენ ქვეყნის სხვა და სხვა კუთხეში ხალხის წარმომადგენელნი იმ კითხვის გარდასაწყვეტად, თუ რომელი სახის ერობა არის საჭირო და სასარგებლო ჩვენთვის, მაგრამ მაშინ პოლიტიკური მდგომარეობის გამო [...] მოხერხდა რა. შემდეგ 1909 წელს ხელ-ახლად მოწვეულ იქმნენ მეფისნაცვლის განკარგულებით, ისევ ადგილობრივი მოღვაწეები ერობის თაობაზე მოსალაპარაკებლად, რომელთაც წესდებაც კი შეიმუშავეს, თუ რა სახის ერობის შემოღებაა საჭირო. მაგრამ სურვილი საზოგადოებისა მაინც არ იქმნა აქამდინ შესრულებული.

გ. თუმანიშვილი აღნიშნავს, რომ რუსეთში, სადაც კი ერობა იყო შემოღებული, იქ დიდი სამსახური გაუწია მან სახელმწიფოს ომის დაწყების შემდეგ, რადგან იკისრა დაჭრილთ დახმარება, ჯარში გაყვანილთ სახლობისათვის მზრუნველობა, დაქცეულ ოჯახობის აღდგენა და სხვა და სხვა, რისათვის მთავრობამ დიდი ფული და უფლებაც მიანიჭა. როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, ნება დართეს კიდეც სრულიად რუსეთის საერობო კავშირის დაარსება, რის შესახებ წერაც კი იყო აკრძალული აქამდინ.

„მხოლოდ ჩვენში, — განაგრძობს იგივე პუბლიცისტი, — თვითმართველობა რომ არა გვქონდა, გულ-ხელ დაკრეფილნი ვისხედით და ვწუხდით უსაქმოობის გამო, სანამ ჩვენშიაც არ შემოჰყო თავი რუსეთის ერობამ. ყველამ თვისი თვალით დაინახა, რა დიდი საქმის მწარმოებელია ერობა, ყველამ გაიგო, თუ რა საჭიროა ამგვარი თვითმართველობა... ომი რომ გათავდება ჩვენის აზრით, ჩვენმა ხალხმა ხელ-ახლათ უნდა მოითხოვოს ერობის შემოღება ჩვენს ქვეყანაში. მთავრობა ამაზე უარს ვერ გვეტყვის, რადგანაც თვითონაც დარწმუნდა ომიანობის დროს, რა დიდი საქმის შესრულება შეუძლია ხალხის თვითმართველობას... ჩვენ ახლავე უნდა მოვემზადოთ, შუამდგომლობა აღვძრათ, რადგან ბეჯითობაზე იქნება დამოკიდებული მომავალი დაწესებულების ბედი. თუ ჩვენ ძლიერ სურვილს არ გამოვაცხადებთ, არც არავინ დაგვიგდებს ყურს, არც თავს გაიტეხს ჩვენი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის... ერობა ყველასათვის სასარგებლოა. სოფელში ბევრი ისეთი საზოგადო, საერთო საქმეა, რომელიც ერთს უღელში შეაბამს თავადსაც, აზნაურსაც, გლეხსაც, მღვდელსაც და ვაჭარსაც. სოფელში სკოლა, მკურნალი, ბეითალი, გზები, ბანკები ყველასათვის ძლიერ საჭირო და სასარგებლოა. ეს ითქმის ჩვენ სოფელზე, სადაც თითქმის არავინ მდიდარი არ არის და ძნელად გაარჩევ თავადსა და აზნაურს გლეხისაგან“.

...„მხოლოდ წვრილი მოხელეობისათვის („ჩინოვნიკობისათვის“) სასარგებლოა ჩვენში ერობის უქონლობა. საერობო შემოსავალი, თითქმის 7 მილიონი მანათი წლიწადში, ახლა ჩვენს ქვეყანაში (ამიერ კავკასიაში) ამ მოხელეების ხელშია: როგორც უნდათ, ისე ხარჯვენ. რასაკვირველია, ისინი არ ეშურებიან, რომ ეს ფული საზოგადოებისთვის გადაცემული იყოს. რა თქმა უნდა ისინი თავის ნებით ერობას არ მოგვცემენ, მაგრამ იმათ მაღლა ხომ მთავრობა სდგას. ამიტომაც, გვგონია, რომ ჩვენში ინტელიგენციამ, ჩვენმა ხალხმა, თავის წარმომადგენლების პირით უნდა ითხოვოს სახელმწიფო სათათბიროში, რომ ჩვენც ერობა გვარგუნონ, როგორც დიდი ხანი არ არის, არგუნეს სტავროპოლის და ასტრახანის გუბერნიებს და სხვა ზოგიერთ განაპირა ადგილებსაც“...

ყველა ამისათვის საჭიროა საერთო მოქმედება და იერიში. ნუ დავიწყებთ დავსაქვას და კამათს, რომელი სახის ერობა ემჯობინება. გვახსოვდეს, გზა გასაკაფავია. გაფართოებას მერეც შევიძლებთ... ღონედ ფხიზლად ვიყვეთ და ჩვენს იდეალს ნუ დავივიწყებთ!...

## პოლონეთის გოდება.

ამ სათაურით მოთავსებულია ერთ ინგლისურს გაზეთში ბაასი ცნობილ პოლონელ მწერლის ჰენრიკ სენკევიჩთან, რომელიც მასთან ჰქონია ხსენებულ გაზეთის თანამშრომელს დღევანდელ ომის შესახებ.

„ჩვენი მხარე,—უთქვამს ჰ. სენკევიჩს, — გადიქცა ბრძოლის ველად მთელ ევროპისათვის და ერთი კუთხიდან მეორემდე სრულიად განადგურებულია.

ჩვენი ახალგაზდობის მილიონის სამი მეოთხედი რუსეთის არმიაშია და იბრძვის; დანარჩენი მილიონის სამი მეოთხედი—გერმანიის და ავსტრიის არმიაში იბრძვიან.

გთხოვთ ჩაუკვირდეთ, რას ნიშნავს ეს გარემოება.

როცა ბრძანება გაისმის ხიშტით იერიშის მიტანის შესახებ და ჯართა რაზმები მირბიან წინ იმ მიზნით, რომ ერთმანეთი დახოცონ, ჩვენ ძმებს ესმით მოპირდაპირეს მხრიდან ძახილი პოლონურ მშობლიურ ენაზე.

ხშირად მოხდება ხოლმე, რომ წითელი ჯვარი დაჭრილთა შეგროვების დროს ბრძოლის ველზე, ერთად აწვენს გვერდით ერთს ჯარისკაცს გერმანულ ფორმაში, მეორეს—ავსტრიულში, მესამეს კი რუსულში... და იმ დროს ყველანი ამოწმებენ, რომ სამივენი პოლონელები არიან.

გაჭირება საშინელია... მარტო ერთ პოლონეთის სამეფოში გადაბუგული და განადგურებულია თხუთმეტი ათასი სოფელი, ათასი ეკლესია და სამლოცველო.

ათ გუბერნიიდან ცხრა ან დაჭერილი იყო გერმანელების-მიერ, რომელნიც არბევდენ სუყველაფერს, არ ზოგავდენ არც წიწილებს, არც გლეხის ფილას-ფულასებს ან და დაჭერილია ახლაც იმათგანვე.

უსახლკარო გლეხები ტყეში გარბოდენ გადასარჩენად.

მე სრულიადაც არ გადავამეტებ, თუ ვიტყვი, რომ დედაკაცები და

ბავშვები ყოველ-დღე ათასობით იხოცებოდენ სიცივისა და სიმშილისაგან.

ბავშვებს დედებისაკენ გაეწვდინათ თავიანთი გაყინული პაწია ხელები და ტირილით პურსა სთხოვდენ.

მაგრამ პოლონელ დედას არ შეეძლო მიეცა მათთვის არაფერი, გარდა ცრემლისა!

გადავალ უფრო დაწვრილებით მხარეზე.

პოლონეთის სამეფოს უჭირავს სივრცე 127.500 კვადრატ კილომეტრისა, რომლიდანაც 100.000 განადგურებულია ავსტრ-გერმანიის ჯარებისაგან. ავსტრიელები და გერმანელები მიდი-მოდიოდენ ზოგიერთ ადგილებში ხუთ-ექვს ჯერ.

თითქმის ერთი მილიონი ცხენი და ორი მილიონი რქიანი საქონელი წასხმული იყო და ამ ასი ათას კილომეტრის სივრცეზე, რომელზედაც იმყოფებოდენ ეს ავსტრიელ-გერმანელი ჯარები, არ დარჩენილა არც ერთი მარცვალი, არც ერთი ხორცის ნაჭერი, არც ერთი რძის წვეთი მშვიდობიან მკვიდრთათვის.

ნივთიერი დანაკარგი ამ უკანასკნელ დრომდე უდრის ერთ მილიარდ მანეთზე მეტს.

სოფლის მეურნეობა განადგურებულია, მრეწველობა მოსპობილია, თითქმის ოთხასი ათასი მუშა დარჩა ხელფასსა და სარჩო საზრდებელს მოკლებული.

მე მივედი ჩემს მამულ ობელენგორეკში კელეცკის გუბერნიაში ომის დასაწყისში,—განაგრძო პოლონელმა მწერალმა.—მე ვმუშაობდი ჩემს ახალ მოთხრობა „ლეგიონებზე", რომლის შინაარსს შეადგენს ნაპოლეონ პირველის, მაშინ ჯერ კიდევ კონსულის, ომი იტალიასთან.

იძულებული გავხდი მუშაობა შემეწყვიტა, მიმეტოვებინა წიგნები და მასალა ობელენგორეკში.

უკანასკნელი ამბავი, რომელიც მე მივიღე, ჰლაპარაკობდა, რომ ყველგან გარემემო, ჩემს ბაღშიაც კი, გაკეთებულია თხრილები.

მე წავედი ვენაში, რომლის გამო მოითხზა ხმა, ვითომც მე დამაპატიმრეს.

იქიდან დიდი სიძნელის დაძლევის შემდეგ მე მოვახერხე ნებართვის მიღება შვეიცარიაში წასასვლელად.

ამ ჟამად მთელი ჩემი ფიქრი და ძალ-ღონე მიმართულია იქითკენ, რომ მოვაწყო დახმარების საქმე ჩემი უბედური მოძმეების სასარგებლოდ".

---

პოლონელ ცნობილ მწერლის ამ ნალაპარაკევმა ჩვენ გაგვახსენა, რომ ჩვენმა დაუვიწყარმა ახლად მისვენებულმა მგოსანმა აკაკიმ, როგორც კი გამოიცა პოლონელ ხალხისადმი მოწოდება უმთავრეს სარდლისა პოლონეთის აღდგენის შესახებ, მოისურვა ცალკე ღირს შესანიშნავი შინაარსის წერილით მიემართა ამ დიდებული ამბის გამო ჰენრიკ სენკევიჩისადმი საქართველოს მხრით. სამწუხაროდ მაშინ ხმა გაისმა, რომ ჰ. სენკევიჩი დასჭრესო, დააპატიმრეს, რუსეთში აღარ იმყოფებაო და ამ გარემოებამ შეაჩერა ჩვენი აკაკი სისრულეში მოეყვანა თავის მრავალმნიშვნელოვანი საგულისხმო განზრახვა.

რედ.

## სამედო ნიშნები.

როდესაც იქნება ხომ უნდა ჩაქრეს ეს უმაგალითო კოცონი, და ხმალმა მონახოს თავისი ქარქაში. მაშინ კვლავ ჩამოვარდება მშვიდობა კაცთა შორის, შესწყდება სისხლის ნაკადთა ჩუხჩუხი...

მერე როდემდის? ნუ თუ არასდროს არ ეღირსებით მიწის შვილთა გაადამიანება? ნუ თუ ვერ შესძლებს იგი ჯოჯოხეთის დათრგუნვას და „მშვიდობისა და კაცთა შორის სათნოების" დამკვიდრებას?

ოდესმე კაცობრიობა, უეჭველია, თამამად მიაკაკუნებს აღთქმის ქვეყნის კარებს, რომელიც ფართოდ გაიღება მის წინ და დაემკვიდრება იგი ქვეყნიურ სამოთხეში, სადაც

...„უქმ სიტყვად არ იქნებიან
ძმობა, ერთობა თავისუფლება,
ეკლის გვირგვინით აღარ ივლიან
კაცთმოყვარება და სათნოება"...

რომ ეს იმედი ბრწყინვალე მომავლისა არა ჰკურნავდეს ჩვენს დაწყლულებულ გულს, იგი ვერ აიტანდა ამა სოფლის უკუღმართობას, ბიროტებას და სიმწარეს.

გვჯერა, რომ ოდესმე ბოლო უნდა მოეღოს პოლიტიკური ბატონობისათვის ბრძოლას, უნდა მოისპოს ყოველგვარი ჩაგვრა, მოძმის რბევა და წამება.

ძმობა-თანასწორობით შეკავშირებული ხალხი უნდა შეიქმნეს თავისი სრული ბატონ-პატრონი.

მაშინ უმთავრესი ასპარეზი დაეთმობა ერთა შორის კულტურულ შეჯიბრებას და ის ძალღონე, რომელიც დღეს პოლიტიკური უპირატესობის მოპოება-შენარჩუნებისათვის იხარჯება, მოხმარდება ერის სულიერ ძალთა განვითარებას.

მაგრამ დღესაც ერთა შორის კულტურულ შეჯიბრებას ფრიად დიდი ადგილი უკავია ხალხთა ცხოვრებაში. იგი თანამედროვე კულტურის დედაბოძი და უმთავრესი პროგრესიული ძალაა. რომ ადამიანს თანდაყოლილი არა ჰქონდეს თვისება ცნობის მოყვარეობისა, მიმბაძველობისა და შეჯიბრებისა, იგი ველურობიდან ვერას დროს ვერ გამოვიდოდა.

რაღა თქმა უნდა, რომ ასეთი მშვიდობიანი მეტოქეობა მატერიალურ და სულიერ ძალთა განვითარებისათვის როგორც პროგრესიული და ჰუმანიური მოვლენა, ფრიად სასურველია.

და ის ერი, რომელიც იჩენს მეტს უნარს და სულიერ ძალღონეს ძლიერი და მაღალი კულტურის შექმნისათვის იჭერს საპატიო ადგილს კაცობრიობის ცხოვრების მეჯლისში, იგი ჰქმნის დაუშრეტელ სამარადისო ღირებულებათ, რითაც ერი იდიდება და იხსენების უკუნითი უკუნისამდე.

ჩვენ ვადიდებთ ძველ საბერძნეთს იმისთვის, რომ წარმოშვა ჰომიროსი, სოკრატე, არისტოტელი, პლატონი და სხ., და არა სპარსთა დამარცხებისათვის; ხოტბას ვასხამთ დიდებულ რომს იმ დიდი სულიერი განძისათვის, რომელიც შეჰქმნეს და დაგვიტოვეს მისმა ღირსეულმა შვილებმა, და არა კართაგენის დანგრევისა და მსოფლიოს დაპყრობისათვის. გვიყვარს ინგლისი შექსპირისა და დარვინისა, გერმანია—გეტესი, შილლერისა და ბეთჰოვენისა და სხვა და სხვა.

ქართველი ხალხიც, როგორც ერთგვარი ეროვნული კულტურის შემქმნელი და მატარებელი ვერ ასცდებოდა საერთო კანონს. მისი გენიოსობა დაუცხრომლად მუშაობდა და ჰქმნიდა საკაცობრიო კულტურული სალაროსათვის ძვირფას მარგალიტებს.

ეჭვს გარეშეა. მისსა და მის მეზობელ ერთა შორის მუდმივი მეტოქეობა არსებობდა. შესაძლებელია ამ მეტოქეობიდან ქართველი ერი ბრწყინვალედ გამარჯვებული გამოსულიყო, შეექმნა მთელი ეპოქა ხალხთა ცხოვრებაში, რომ პოლიტიკური თვითარსებობისათვის ბრძოლას არ გაენადგურებია მისი ენერგია და ცხოვრების საშუალებანი.

მართლაც ჩვენი ერის პოლიტიკური თავისუფლება ყველაზე უკეთ უზრუნველყოფილი იყო XI—XIII საუკუნოებში და სწორედ ეს დრო იყო საქართველოს კულტურული და ეკონომიური ძლიერების ხანა.

შემდეგ მონგოლებმა, თურქებმა და სპარსელებმა გაანადგურეს საქართველოს პოლიტიკური თავისუფლება და მასთან ერთად განიავდა ჩვენი ერის კულტურაც. ღონემიხდილმა, აუტანელი ბრძოლით განაწამებმა საქართველომ მეცხრამეტე საუკუნის კარამდი მიიტანა ეროვნული თავისუფლების დროშა და აქ დაჰხარა, ძირს დასდო. ჩვენი ერის თავისუფლების მზე ჩაესვენა...

მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევარი უიმედობის, გაღატაკების და გადაგვარების ჯანყით იყო მოსილი. აღარავის სჯეროდა ჩვენი ქვეყნის აღდგენა, აღარავისა ჰქონდა იმედი, რომ საქართველო კვლავ გამოვიდოდა საერთაშორისო შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად.

მაგრამ დაჰბერა სიომ, ქვეყანას მკრთალი ნათელი მოეფინა და მოესმა გამამხნევებელი, მრავალ იმედის აღმძვრელი, სიცოცხლის მომნიჭებელი ძახილი ახლად მოვლენილ სამშობლოს ღირსეულ შვილთა...

სალათას ძილით დავადებული ერი გამოაფხიზლა ამ ძახილმა, გულს იმედი ჩაუსახა. ერმა ინება, „რომ ჯერ კიდევ არ გამქრალიყო მომავალი ბედისწერა", და... დაიწყო აღორძინება ჩვენი ერისა. მისი გზა ნარ-ეკლით არის მოსილი. იგი ვერ ახერხებს შეძლებისა და თავის უნარის დაგვარად გაშალოს ფრთები და აამოქმედოს ყველა ცოცხალი ეროვნული ძალა. ამის მიუხედავად, თუმცა ნელ-ნელა, მაგრამ მაინც შეუჩერებლივ მიდის წინ ჩვენი ცხოვრება.

სწავლა-განათლებამ მკვიდრად მოიკიდა ფეხი ქართველი ხალხის ცხოვრებაში, ინტელექტუალური ძალა დღითი დღე ემატება ჩვენს კულტურულ ცხოვრებას, რომელმაც უკანასკნელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში მრავალი ძვირფასი განძი შეგვძინა.

ამასთანავე ყველაზე თვალსაჩინო მოვლენად ის უნდა ჩაითვალოს, რომ ჩვენმა მშრომელმა ხალხმა მჭიდროდ შეითვისა და გულში ღრმად დაიმარხა წმინდა დემოკრატიული იდეალები, რომელნიც ყოველგვარ ძალმომრეობის და უსამართლობის უარყოფას წარმოადგენენ.

კავკასიის ხალხთა შორის ჩვენს ეროვნულს თანამედროვე კულტურას უკვე თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. ასე რომ ამ შემთხვევაში ჩვენ მკვიდრ ნიადაგზე ვდგევართ. მაგრამ არის ერთი მხარე ერის ცხოვრებაში, რომელიც დღემდის ცუდ ყოფაშია და მისი მდგომარეობა ბევრ შიშს იწვევს ყველა ჩვენთაგანში.

ეს არის ჩვენი ეკონომიური სისუსტე.

თავისთავად ცხადია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ერის ცხოვრებისათვის მისი უმრავლესობის, ე. ი. მშრომელი ხალხის ქონებრივ უზრუნველყოფას და სიძლიერეს. სიღარიბე და სიმშილი უწყალოდ სცრავს ერის ნიჭსა და ძალ-ღონეს, იგი გადაგვარების წინამორბედია.

ზოგი ჰფიქრობს, რომ საქართველოს უბედურება ვაჭარ-მრეწველთა უყოლობაშია*).

არ არის ეს მართალი. ჩვენი ხალხის დიდ უმრავლესობას სასოფლო მეურნეობა არჩენს და ჩვენი ქვეყნის ბუნებაც სწორედ ამ მხრით არის უხვი და მდიდარი. ჩვენი ხალხი ვაჭრობა—მრეწველობაზე არ არის დამყარებული და ამიტომაც იმთავითვე ჩვენში ამ დარგში უცხოელნი მუშაობდნენ და დღესაც მუშაობენ.

ჯერჯერობით თუ რამეა ჩვენს ქვეყანაში გასაკეთებელი ვაჭრობა-მრეწველობაში, აკეთებს უცხო კაპიტალი და იგივე ამზადებს ნიადაგს ქართველი ბურჟუაზიის შესაქმნელად, რის ნიშნებს უკვე ვხედავთ. უცხო კაპიტალი ჩვენში საჭიროა, იგი აკეთებს იმას, რის გაკეთებასაც დღეს-დღეობით ჩვენის ცოდნითა და გამოცდილებით ვერ შევსძლებდით. მაშასადამე ეხლა იგი სასარგებლოა და სრულიად საშიში არ არის, რადგან უცხო კაპიტალი ამზადებს ეროვნულ ბურჟუაზიის და მით თვით ერეკება თავის თავს დაკავებულ პოზიციებიდან.

თუმცა სასურველია, რომ ჩვენი ქვეყნის სიმდიდრის ექსპლოატაცია ჩვენსავე ხელში იყოს, ჩვენმა ხალხმა ისარგებლოს მისი ნაყოფით, მაგრამ კარგი იქნება, თუ ეს მოხერხდება მსხვილი ბურჟუაზიის გაუჩენლად. აუტკივარი თავი რაღად ავიტკიოთ!.. ხუმრობა იქით იყოს, და ჩვენთვის ევროპის მაგალითმა უნაყოფოდ არ უნდა ჩაიაროს. უნდა ვეცადოთ ყოველი საქმე, რომელსაც კაპიტალიზაცია სჭირდება, მოვაწყოთ კოოპერატიულ ნიადაგზე, მივსცეთ საზოგადოებრივი ხასიათი.

ეს დარგი ჩვენი ეკონომიური ცხოვრებისა ფრიად საყურადღებოა და მასზე ფიქრი საჭიროა.

მაგრამ უფრო მეტი ზრუნვის და შესწავლის ღირსია ჩვენი მშრომელი ხალხის ყოფა-ცხოვრება.

ყველა ერთხმად გაიძახოდა, რომ უბედურება მოელის ერსაო: ჩვენი გლეხობა დღითი-დღე ღატაკდება, მიწა ხელიდან ეცლება, მისი სარჩო-საზრდებელი ჩარჩსა და მემამულეს მიაქვსო, რომ თუ ასე წავიდა საქმე, დავიღუპებით, გადავგვარდებით და მიწაც დაგვეკარგებაო.

ჩვენი ერის ცხოვრების დედა-ბოძი გლეხობაა. იგია მისი მთავარი მაცოცხლებელი ძალა და მასზევეა დამოკიდებული საქართველოს მომავალიც. ამიტომ ყველა დაინტერესებულია გაიგოს: გაუძლებს თუ არა ჩვენი გლეხობა ამდენ შევიწროება-გაჭირებას, აქვს თუ არა მას სიცოცხლის უნარი? ჩემის აზრით, თუმცა, ცხადია უფრო დიდია მისი უნარი სიცოცხლისა და შემოქმედებისა, მართალია, იგი წელში გასწყვიტა აუარებელმა უსამართლობამ და ძალმომრეობამ, მაგრამ ის მაინც იმედს არ ჰკარგავს და თვით მიიკვლევს გზას უკეთესი მომავლისაკენ.

ამისი სანუგეშო ნიშნები უკვე მოგვეპოვება.

მაგალითად, ეხლა ხელთა მაქვს თბილისის გუბერნიის წვრილი კრედიტის ინსპექტორის წასული წლის ანგარიში. *)

ამ ანგარიშით ამა წლის პირველ იანვრისათვის თბილისის გუბერნიაში ყოფილა 92 საკრედიტო და 46 შემნახველ გამსესხებელი ამხანაგობა, რომელთაც ჰყავთ საერთოდ 53.154 წევრი—4.632,813 მან. ნდობით. ჰქონი საშუალებანი (პასსივი) 1.889.243 32 კ., ქონება (აქტივი) 1.759.420 მან 22 კ.

1 იანვარს 1914 წელს ჰქონიათ გაცემული სესხი 887.000 მან 94 კ. 1914 წ. გაუციათ 3.268.996 მ. 97 კ. აქედან დაუბრუნებიათ 2,471.520 მ. 78 კაპ.

ეს ანგარიში ბევრ რამეს გვეუბნება. თურმე ქართლელ გლეხს, რომელიც ჩვენ ძალიან ჩამორჩენილი გვეგონა, ჰქონია საზოგადო საქმიანობის მოხერხება და შეგნება. საკვირველია, როგორ ჩქარა და ადვილად შეუთვისებია იდეა ამხანაგური მუშაობისა, და როგორის გულმოდგინებით მისდევს ამ სრულიად ახალს და უჩვეულო საქმეს.

მერე ამოდენა საქმეს და ანგარიშებს გაძღოლა არ უნდა? როგორც ეტყობა სოფელს კიდევ ჰყოლია ღვთისნიერი და მისთვის გულშემატკივარი ხალხი. ესენი არიან, რომ ჩუმად, უბაქი-ბუქოდ აკეთებენ დიდ ეროვნულ საქმეს—გაჭირებული გლეხობის ფეხზე დაყენებისას.

შემდეგ საყურადღებოა, თუ რა შეუძენია ჩვენს გლეხობას წასულ წლიწადში ამხანაგობათა წყალობით.

ნუ დაივიწყებთ, რომ წვრილი კრედიტის საქმეს ჩვენში ოთხი-ხუთი წლის ისტორია აქვს და ამის მიხედვით უნდა დავაფასოთ ფაქტი.

აი რა შეუძენია სოფელს: ჩამოუ- [illegible] უმართია გლეხისათვის ერთი წლის განმავლობაში 3 მილიონზე მეტი მანეთით, მაშასადამე 3 მილიონი ჩარჩული კაპიტალი სამუდამოდ გაუძევებია სოფლიდან. რამდენი გლეხი გადარჩებოდა ადგილის უღვთო დაწინდვას! მერე სარგებელი? ვინ არ იცის, რომ ჩარჩები ღებულობენ სარგებელს სულ მცირეს აბაზს თუმანზე თვეში, ე. ი. 24 პროც. წლიურად. ეს მინიმუმია ჩარჩული სარგებლისა.

ნორმალური 30—40 პროც. და ხშირად 50—60 პროცენტსაც აღწევს.

მაგრამ ჩვენ რომ მინიმუმი ავიღოთ —24 პროც., მაინც მივიღებთ განსხვავებას 12 პროც. (ამხანაგობანი ახდევინებენ სესხში 12 პროც. წლიურს). 3 მილიონ მანეთზე წლიურად ეს შეადგენს 360,000 მანეთს, ანუ თითო ამხანაგობას შეუნარჩუნებია წასულ წელში საშუალოდ 2.600 მან. ეს უკვე ხუმრობა აღარ არის. ერთი სოფლისათვის ეს დიდი თანხაა.

თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ეს ახალი საქმე ჩქარა ვითარდება და ვრცელდება, მაშინ გავიგებთ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ დაწესებულებას ჩვენი სოფლის ეკონომიური ცხოვრებისათვის. ცოტა ხნის შემდეგ უნდა ველოდეთ მთელი საქართველოს საკრედიტო ამხანაგობათა კავშირის დაარსებას, რომელიც მიიღებს ეროვნული სახალხო ბანკის სახეს. ამას მოჰყვება კოოპერატივთა სრულიად საქართველოს კავშირი და ამნაირად ყველა ერთისათვის და ერთი ყველასათვის მჭიდრო ორგანიზაციით შეკავშირებული, ნაყოფიერად იმუშავებს ჩვენი ხალხი ეროვნული კულტურისა და ძლიერების შესაქმნელად. თუმცა ჩვენი დროის მსოფლიო უბედურებამ დიდი ვაჭირვება და ვაება მიაყენა კარს ჩვენს გლეხს, მაგრამ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ის ამ განსაცდელსაც მხნედ და გულადად აიტანს, მოიკრებს ძალღონეს და შეუპოვრად გასწევს ჩვენი ცხოვრების ჰაპანს.

ზემოდ მოყვანილი მაგალითი სწორედ ამის იმედს იძლევა. უნდა დავიჯეროთ, უნდა ვირწმუნოთ ჩვენი მშრომელი ხალხის სიძლიერე; უნდა გვწამდეს, რომ თუ მან შესძლო კავკასიის ერთა შორის კულტურული შემწეობით და აზროვნებით პირველი ადგილის დაკავება, იგივე შესძლებს თავს უპატრონოს და თავისი მარან-ბეღელი ჰირნახულით აავსოს. იგი შეჰქმნის ეროვნულ სიმდიდრეს და ხაზინას. მაგრამ ჩვენი მშრომელი ხალხის ქონებრივად ფეხზე დაყენება შეიძლება არა კერძო მესაკუთრეობის განმტკიცებით და სიმდიდრის კერძო შეძენით, არამედ მშრომელ, მომქმედ ძალთა შეერთებით, ამხანაგური და საზოგადოებრივი წარმოებით.

კოოპერაცია—თანამშრომლობაშია ჩვენი სოფლის ხსნა, მხოლოდ ამ გზით შესძლებს იგი გაუმკლავდეს როგორც შინაურ ხელმოკლეობას, აგრეთვე ანგარიში გასცეს ყველას, ვინც სარგებლობს მისი სიღარიბით, დაქსაქსულობით, და ჰლამობს მისი მიწა-წყლიდან მის აყრას..

ის. ვარაზაშვილი.

*) ჩვენ ამ საკითხის გამო სხვა აზრისა გართ. რედ.

*) ეს ანგარიში გადმომცა ინსპექტორმა კ. დ. ჩხეიძემ, რომელსაც დიდ მადლობასა გწირავ. ი. ვ.

## აკაკის დილა.

25 მარტს ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოების საბჭოს მიერ გამართულმა აკაკის დილამ კარგად ჩაიარა. სიტყვა წარმოსთქვეს საბჭოს თავმჯდომარემ გ. ჟორდანიამ, ივ. გომართელმა, გრ. რობაქიძემ. აკაკის შესახებ თავის მოგონებანი წაიკითხა ჩვენმა პატივცემულმა მწერალმა ბ. სოფრომ მგალობლიშვილმა. აშულ ჰაზირას დასტამ შეასრულა აშულურ ჰანგზე გადაღებული აკაკის ლექსები. თუმცა შესრულება ხელოვნური იყო, მაგრამ ჩვენ მაინც ვფიქრობთ ეს ჰანგი არ შეეფერება აკაკის დიდებულ პოეზიის შინაარსს. მაინც ბ. ჰაზირა და მისი დასტა დიდი მადლობის ღირსია მონაწილეობის მიღებისათვის.

გრამოფონის საშუალებით მოსმენილმა აკაკის ცოცხალმა სიტყვებმა მკრთალი შთაბეჭდილება მოახდინა. დიდ დარბაზში ვერ გაარჩიეს ხეირიანად აკაკის ხმა, მაგრამ ეს თვით გრამაფონის უსრულობის ბრალია, რადგანაც როცა ამ სიტყვებსვე ისმენთ პატარა ოთახში, მაშინვე სცნობთ ჩვენი საყვარელი მგოსნის ხმას.

მ. ლომიძის გუნდმა და მ. შავერზაშვილის-ქალმა კარგად შეასრულეს თავიანთი სასიმღეროები, მაგრამ ჩვენის აზრით, ეს განყოფილება სულ მეტი იყო, რადგანაც შინაარსით არ შეეფერებოდა დიდი მგოსნის ხსოვნის პატივსაცემად გამართულ დილას.

დილის საუკეთესო და უშვენიერეს წამად უნდა ჩაითვალოს ივ. გომართლის სიტყვის წარმოთქმა და გრ. რობაქიძის მოხსენება. ივ. გომართელი შეუდარებელი იყო. იმ დღეს მან გამოიჩინა თავის მჭევრმეტყველების მთელი სიდიადე. საზოგადოებამ პირდაპირ ოვაცია გაუმართა. საფრანგეთში რომ ყოფილიყო წარმოთქმული ასეთი მშვენიერი და მრავალმნიშვნელოვანი სიტყვა, მას უეჭველად ყველა დეპარტამენტში გამოჰფენდენ და კედლებზე გააკრავდენ. გრ. რობაქიძის მოხსენება აკაკის შემოქმედების შესახებ ძლიერ საინტერესო და დასაბუთებული გამოდგა. იგი უფრო მძლავრ შთაბეჭდილებას მოახდენდა მსმენელებზე, რომ ცალკე ლექციად ყოფილიყო წაკითხული. ჩვენის აზრით ეს მოხსენება ბ. რობაქიძისა თავის შინაარსით ერთი საუკეთესოთაგანია, რაც კი აქამდინ წარმოუთქვამს ჩვენს ლექტორს. მან გაგვახსენა ის შესანიშნავი წამი, რომელიც ქართველმა საზოგადოებამ განიცადა აკაკის იუბილეს წინ, როდესაც იმავე ესტრადიდან ბ. რობაქიძემ წაგვიკითხა თავის ლამაზი ლექცია დიდებულ მგოსნის პოეზიის შესახებ. დიდი მადლობის ღირსნი არიან ამ დილის თაოსანნი, რომ განგვაცდევინეს ტკბილი წამები ამ საუკეთესო ქართველ მჭევრ-მეტყველთა მოსმენის დროს.

დამსწრე.

## მკითხველის შენიშვნა*)

საგულისხმიერო ნიმუში სიტყვა-კაზმულ მწერლობისა.

მოგეხსენებათ, რომ პროზის მხრით ჩვენი სიტყვა-კაზმული მწერლობა, პრესის რომელ დარგსაც ყველაზედ მეტად ეტანება დიდი უმრავლესობა მკითხველებისა, აგერ კაი ხანია, რაც კრიზისს განიცდის: დამშეული თვალი, მთელი წლების განმავლობაში, გაფაციცებით ეძებს ყველა ჩვენ პერიოდულ გამოცემებში ისეთ მხატვრულ ნაწარმოებს, რომლითაც შეეძლება დაიკმაყოფილოს ესთეტიური გემოვნება.

ასეთ ღირსეულ მხატვრულ ნაწარმოებს, მხოლოდ კანტი-კუნტად თუ შეხვდებით ბოლო წლების ჩვენ პერიოდულ გამოცემებში, ამიტომაც დიდი სიამოვნება განგვაცდევინა, გაზ. „თემის" აღდგომის ნომერში მოთავსებულმა, კაზმულ-მწერლობის მშვენიერმა ნიმუშმა,—ბ. ღემნა შენგელაიას მოთხრობა—„ნირვანამ."—

არა შაბლონურმა და მეტად დამაფიქრებელმა თემამ მოთხრობისამ (მიზანი ადამიანის არსებისა), კარგმა ენამ, შნოიანმა გარეგნობამ, ჩამოყალიბებულმა მადლიანის ხელით, ადგილ-ადგილ შეზავებულმა გონივრულ ხალხურ თქმულებებით და მომჯადოებელ ბუნების აღწერით, მთლიანი, და ღრმა შთაბეჭდილების დატოვებამ მკითხველზე ავტორისაგან დასახულ მიზნის მხრით,-ყველა ამან, პირადად მე, მოთხრობის წაკითხვის დროს მრავალი სიამოვნების წუთი განამაცდევინა, რისთვისაც, თანაგრძნობასთან ერთად, დიდ მადლობას ვუძღვნი ჩვენ მწერლობაში, როგორც ეტყობა, ახლად გამოსულს ნიჭიერს ავტორს და გულით ვუსურვებ, რომ მას კიდევ მრავალჯერ გაეხალისებინოს ჩვენი უგემური ყოველდღიური ცხოვრება იმგვარივე საგულისხმიერო ნაწარმოებით და მითვე გაეცხოველებინოს ჩვენი ბოლო დროის, უფერული, მაჯამოდუნებული სიტყვა-კაზმული მწერლობა.

გ. ახალციხელი.

*) ჩვენ ამ „მკითხველის შენიშვნას" მხოლოდ იმიტომ ვბეჭდავთ, რომ ხსენებულმა ნაწარმოებმა, როგორც, მართლაც ღირსეულმა, მიიზიდა ყურადღება ბევრი ესთეტიურ გემოვნება-განვითარებული მკითხველისა. ჩვენც ვსურვებთ, რომ სულ ახალგაზრდა ავტორის ნიჭის განვითარება არ შეჩერებულიყოს მხოლოდ რამდენსამე ნაწარმოებზე. რედ.

## ბიბლიოგრაფია.

ძველი საქართველო. ტომი III, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით.

ეხლახან გამოსული მესამე ტომი საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებულისა წარმოადგენს ახალს ფრიად თვალსაჩინო განძს ჩვენი მეცნიერების ღარიბ სალაროში. წიგნი შესდგება 2 განყოფილებისაგან. პირველ განყოფილებაში მოთავსებულია ე. თაყაიშვილის არქეოლოგიური მოგზაურობის აღწერილობა სამეგრელოში. ბ. ექვთიმე თაყაიშვილს დაუვლია მის მიერ აღწერილი მონასტრები, ტაძრები და საზოგადოდ ძველი ნაშთები 1913 წ. ზაფხულს და სულ მცირე ხანში შეუკრებია ფრიად საინტერესო და საქართველოს ისტორიისათვის მნიშვნელოვანი მასალა. ბ. თაყაიშვილის შრომის მნიშვნელობა უფრო ცხადი იქნება, თუ გავიხსენებთ, რომ მარი ბროსსეს შემდეგ არც ერთს მეცნიერს ასე დაწვრილებით და ასე კეთილ სინიდისიერად არ დაუვლია ეს ჩვენი ქვეყნის შორეული, მაგრამ ფრიად საინტერესო კუთხე. ბროსსეს მიერ შეკრებილი მდიდარი საარქეოლოგიო მასალა ე. თაყაიშვილს ხელახლად გადაუსინჯავს. მცოდნის თვალი ადვილად შეატყობს,

რომ პატივცემულ არქეოლოგს შეუსწორებია ბევრი უნებური შეცდომა ბროსსესი, ადვილად გასაგები ამ 70 წლის წინად, როდესაც საქართველოს წარსულის შესწავლის საქმე მხოლოდ ფეხის ადგმას იწყებდა. ბევრი ძნელი წასაკითხი და შინაარსით დიდმნიშვნელოვანი წარწერა ბ. თაყაიშვილს ხელახლად წაუკითხავს შესწორებით და ეს შესწორება რასაკვირველია ნდობის ღირსიც იქნება, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ბ-ნი თაყაიშვილი ცნობილია, როგორც გამოცდილი არქეოლოგი და ფრიად კარგი მცოდნე ჩვენი არქეოლოგიური ნაშთებისა.

კრებულის მეორე განყოფილებაში მოთავსებულია ფრიად ძვირფასი ნაწარმოებნი ჩვენი ხალხურ ზეპირსიტყვაობისა, სხვა და სხვა (ისტორიული და ყოფაცხოვრებისა) ლექსები შეკრებილი ქართლში და კახეთში თედო რაზიკაშვილის მიერ, ხალხური ლექსები ჩაწერილი ია კარგარეთლის მიერ და ლექსები სამესხეთოში შეკრებილი ვინმე მესხის მიერ. წიგნს დართული აქვს საზოგადოების კრებათა ოქმები და წლიური ანგარიშები.

**სან.**

# კოსტანტინე ბალმონტიდან.

პ. იაშვილის თარგმანი.

## ფანტაზია.

ვით ცოცხალი ქანდაკება, მთვარის შუქზე ოდნავ კრთება,
ჩუმ ხეების მწვანე წყება სავსე უხმო წმინდის ვნებით,
გრძნეულ ტყესა წყნარად სძინავს, ტყეზე მთვარის შუქი ბზინავს,
ისმენს ქარი როგორ გმინავს, სტკბება ფარულ მშვიდ ოცნებით.

ჩუმის ხმითა კვნესის ქარი, ისმის ნაძვთა საუბარი
ლბილ საწოლზე ტკბილი არი მათთვის ჩუმი მოსვენება,
ტყეს არ ახსოვს არაფერი, თითქოს არ ჰყავს არსად მტერი,
სურს ისმინოს როგორ მღერის ბნელი ღამის გრძნეულება.

რაღაც ხმები და შრიალი, და ვედრება შესაბრალი,
თან სევდა და თან სიმთვრალე თითქოს სხივი კრთოდეს ცაში,
თითქოს წყნარი წვიმა მოდის, და ხეებს ელანდებოდეს,
რასაც ხალხი ვერაოდეს ვერ ჩასწვდება ვერც სიზმარში.

ეს მათ ღამის საშიშ სულებს, ცეცხლით თვალებ ანთებულებს,
სურთ ბნელ ღამით დაწყევლილებს გადაქროლვა ტევრის ბზისა,
რისთვის ჰგრძნობენ თავსა კრულად? რა ღონის მათ გულს დაფარულად?
რად არ ძალუძს მათ გმირულად, რომ იმღერონ ჰიმნი ცისა?

უფრო ისმის კვნესა ხმების, ხმებში სული შავ წამების,
და მარადის მისწრაფების სევდა კრული თან დართული,
თითქოს ჰკლავს მათ შფოთვის ალი, უნდათ რწმენა, სურთ უფალი,
თითქოს ტანჯვა აქვთ მრავალი, თითქოს სხვისთვის სტკივათ გული.

ცაზე კი კვლავ ხარობს მთვარე, არც სევდა, არც სიმწუხარე,
არ აშფოთებს ამ მძინარე, მოშრიალე ტყეს, მშვენებას,
ხეებს ჩუმის ძილით სძინავს, ახლოს ვიღაც სტირის, გმინავს
და სიზმრებში სხივი ბზინავს და აქსოვებს ტკბილ ოცნებას.

## ფარფატა.

ფარფატა რუხი დაციმციმებს სევდიან კვნესითა,
ზღვის ყინულ უფსკრულსა ევლება თავზე.
სიდან მოფრენილა? რისთვის? ან მისი სიზმარი
რად არის უსაზღვრო წუხილით სავსე?

უსაზღვრო სივრცეა. ზეცა უსალამო დაბნელდა.
ადიდდა ტალღა თეთრის ქაფით შემორკალული.
ქარი ჩრდილოეთის სტირის და ფარფატაც ქვითინებს,
ფარფატა გიჟი, გულ დამწვარი და დაღალული.

## ყვავილები ნარგიზისა.

თითქოს ჩამოთლილი მშვენიერის ქვიდან,
ყვავილები თრთიან წმინდა წყალში ცქერით.
და მათივე სახე უცქერს მათ სიღრმიდან,
ხარობენ უდარდოდ იმ სიმშვენიერით.

ყვავილების ტანი ქროლვისგან ირხევა,
მათი სახე წყალში სცურავს და იბნევა.
ყვავილებმა დაინახეს წყალში თავის თავი,
იცნეს სილამაზის სხივი მომხიბლავი.

გული მზიურ რკალით გარშემოვლებული,
სცდილობს, რომ დაჰფაროს ოქროს ალსარება
და სამარადისოდ თვითშეყვარებული,
უსახელო ფიქრში იყინება, ჰქრება.

წმინდა ოცნებისთვის ყვავილია მკვდარი,
ტრფობამ მას სიკვდილთან გადასწერა ჯვარი.
ერთი წუთი—და სიცოცხლე ყვავილების ჰქრება,
იცნეს იმათ სილამაზის ტკბილი ნეტარება!

## ვის ვწირავ ლოცვებს.

ვის ვწირავ ლოცვებს? ქარს გაცივებულს.
ვის ვწირავ ლოცვებს? გადაშლილ ზღვასა.
მე ძმა ვარ ქარის, და ნიავქარის,
მსურს ვეძმო ზღვას მე გადაშლილ ზღვასა.

რა მინდა ვნახო? მაღალი მთები.
რა მინდა ვნახო? უდაბნო ველი.
მე ძმა ვარ ქარის და ვცხოვრობ მარტო,
და ვდნები ისე ვით კვამლი ნელი.

მე კიდევ რა მსურს? სიკვდილის ლანდი.
მე კიდევ რა მსურს? სიკვდილი შავი.
უვნებო სულსა, უსახლო სულსა,
მე მინდა მხოლოდ ბნელი საფლავი.

**პავლე იაშვილი.**

# თბილისის თვითმართველობის გარშემო

**ის. ვარაზაშვილი.**

20 თებ. 1915 წ.

# ახალი ამბავი.

✦ მაისიდან თბილისში გამოვა ახალი ქართული ყოველდღიური გაზეთი. მონაწილეობას იღებენ: მიხ. მაჩაბელი პართ. გოთუა, კონსტ. თუმანიშვილი და ახალგაზრდა მწერალნი „კლდის“ მიმართულებისა.

სამხ ედრო ქუჩის და გოლოვინის პროსპექტის კუთხეში ფოსტის სახლის პირდაპირ გაიხსნა

# ახალი აფთიაქი

## პროვიზორ ვარლამ ახვლედიანისა.

✦ ცნობილი მწერალი ვლ. ბურცევი, სასამართლოს სასჯელის გადასახდელად უკვე გაჰგზავნეს პეტროგრადიდან აღმოსავლეთ ციმბირში.

✦ „კავკაზსკოე სლოვოში“ თანამშრომლობას, როგორც შევიტყეთ, თავი დაანებეს ნიკ. ღლ. დუბროვსკიმ და ალ. ყანჩელმა.

✦ ქალაქ ფოთის თავის მოადგილეთ დაამტკიცეს ბ. გალაქტიონ აბესალომის ძე ტყემალაძე. ბ. ტყემალაძე სულ ახალგაზრდა ყმაწვილია, ამ რამდენიმე წლის წინად კურს დამთავრებული. მოპოებული აქვს მუნიციპალურ საქმეებში საკმაო გამოცდილება: მსახურებდა ოდესის საქალაქო თვითმართველობაში და რედაქტორი იყო ერთ დროს „ქალაქ ოდესის საბჭოს და გამგეობის მოამბისა“. იძულებული გახდა სამსახური მიეტოვებინა, როდესაც გამეფდენ ოდესის თვითმართველობაში უკიდურესი მემარჯვენენი. ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ სიმპატიური ახალგაზრდა მუშაკი მხნედ შეუდგება საქმეებს და ისეთს პოზიციას დაიჭერს, რომელიც ყველა მიმართულების საქალაქო მომუშავეებს ნებას მისცემს მასთან ერთად იმუშაოს.

✦ ფოთის საურთიერთო ნდობის გამგეობის თავმჯდომარეედ ამას წინად არჩეული გ. მ. ჯაფარიძე, რომელმაც წლეულს დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტი, უკვე შეუდგა თავის თანამდებობის ასრულებას.

✦ თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლის მოადგილეს თავ. მიხ. სუმბათაშვილს მოსკოვის თავად-აზნაურობის წინამძღოლის ა. დ. სამარინისაგან დეპეშა მოუვიდა, რომ ფოსტით გამოჰგზავნა ქართველ თავად-აზნაურობის [illegible] კავკასიის არმიის ოფიცრებსა და ჯარისკაცთა შორის დასარიგებლად საჩუქრები. ამასთანავე ამავე მიზნით გამოჰგზავნეს საჩუქრები საიმპერატორო თეატრების არტისტებმაც. თავ. სუმბათაშვილმა დეპეშით მადლობა გადაუხადა. საჩუქრების ერთი ნახევარი გაგზავნილი იქნება ბათუმ-ჭოროხის იქითა რაიონში, მეორე კი ყარს-სარიყამიშისაში.

✦ შაბათს შუადღისას თავ. ნიკ. რევ. ერისთვის საფლავზე გადიხადეს პანაშვიდი, რომელსაც ნათესავების გარდა, დაესწრენ ქართულ მწერლობის და საზოგადო დაწესებულებათა წარმომადგენელნი, აგრეთვე მრავალი პატივისმცემელი მიცვალებულისა.

✦ მთავრობის განკარგულებით თბილისში შეაჩერეს სამხედრო წესების მოსპობამდე რუსული გაზეთები „ზაკავკაზსკაია რეჩ“ და „გოლოს კავკაზა“, თათრული გაზ. „იკდამ“ და სომხური გაზეთი „არევ“.

✦ ეს რამდენიმე დღეა თბილისში გამოდის ახალი რუსული გაზეთი „ნოვოე ზაკავკაზიე“, და ბაქოში ახალი სომხური გაზეთი „არევ“.

✦ 27 მარტს ომის ასპარეზზე კავკასიის სამხედრო ოლქის მთავარ უფროსის თანამდებობის აღმასრულებელ გენერალ ლეიტენანტის ვოლსკის დადგენილებით დააჯარიმეს 500 მანათით სომხურ გაზეთ „მშაკის“ რედაქტორი ამბარცუმ არაქელიანი, რადგანაც მან თავის გაზეთ 17—18 მარტის ნომერში დასტამბა წერილი „ჩვენ და ჩვენი მეზობლები“.

✦ ქ. სოხუმსა და სადგურ სენაკს შუა ამ ჟამად კარგად სწარმოებს მიმოსვლა ეტლებით და დილიჟანებით. მგზავრები ერთი დღის განმავლობაში მოდიან სოხუმიდან ზუგდიდამდე და მერე მოემგზავრებიან სენაკამდის.

✦ რუსეთის სატახტო ქალაქებიდან მოვიდენ გორის მაზრაში სხვა და სხვა ცნობილი რუსის ფირმების წარმომადგენელნი და ჰყიდულობენ ევროპიულ ჯიშის ვაშლებს. ფუთში აძლევენ 4 მანეთიდან 7 მანეთამდის ალაგობრივ.

✦ ქ. პეტროგრადში სამი დღის განმავლობაში გამართული იყო ფულის შეკრეფა ყულაბებით სომეხ გამოქცეულთა სასარგებლოდ. გაზ. „ბირჟევია ვედომოსტი“ გადმოგვცემს, რომ პეტროგრადელ ქართველ სათავისტომოს სტუდენტებსაც მიუღიათ მონაწილეობა ფულის შეკრეფაში.

✦ ქართულ გიმნაზიაში მისაღები ეგზამენები დაიწყება 6 აპრილს. თავისუფალი ადგილი არის პირველ მოსამზადებელ, მესამე და მეექვსე ძირითად კლასებში.

✦ რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიულ საზოგადოების კავკასიის განყოფილებამ გამოსცა საინტერესო წიგნაკი „ვანის ვილაიეთის აისორები“. წიგნაკში 40 გვერდია და ღირს ორ აბაზად.

✦ გამოვიდა ჟურნალ „განათლების“ მარტის ნომერი და ჟურნალ „კოოპერაციის“ № 29, აგრეთვე ამ ჟურნალის რედაქციის მიერ ლამაზად გამოცემული წიგნაკი „კოოპერატიზმი“, გიგა ჯუღელისგან გადმოკეთებული გარდენინის წერილებიდან.

✦ ჩვენმა მკითხველებმა უკვე უწყიან, თუ რა მნიშვნელობა ექნება ფრონის და ლიახვის ხეობისათვის სოფელ ქარელთან, თუ ხიდი გაკეთდა მდინარე მტკვარზე. წელს საერობო ხარჯთ-აღრიცხვის ხელ-მეორედ გადასინჯვის დროს მეფისმოადგილეს საბჭომ გადაჭრით განაცხადა, რომ მზადაა მოახმაროს ამ საქმეს სათადარიგო საერობო თანხიდან 100.000 მან. ამ ჟამად საჭიროა მტკვრის ნაპირების გამოსაკვლევად, გეგმისა და ხარჯთაღრიცხვის შესადგენად ას-ოცი თუმანი, რომელიც ამ დღეებში უნდა იყოს შეტანილი თბილისის გუბერნატორის დეპოზიტად ხაზინაში ქარელის ხიდის საჭიროებისათვის. ამ ხარჯის გასაწევად თავად-აზნაურობამ გადასდო თავის მხრით სამოცი თუმანი. მეორე ნახევარი კი უნდა შეგროვდეს თვით დაინტერესებულ მკვიდრთა შორის. უეჭველია [illegible] ხეობის [illegible] რაიონის შეგნებული მკვიდრნი, მემამულენი იქნებიან ისინი, თუ სხვა წრის ხალხი, შეაგროვებენ მალე ამ ნახევარსაც, რომ არ შეაფერხონ მეტად საჭირო საქმის რაც შეიძლება მალე დამთავრება.

✦ 24 მარტს პეტროგრადში აკადემიკოს მაქს. მაქს. კოვალევსკის თავმჯდომარეობით გაიმართა საინტერესო კრება, რომელზედაც სხვა და სხვა პირებმა წაიკითხეს მოხსენება შემდეგ თემაზე: „ლეონ ტოლსტოი, როგორც მხატვარი და მოაზროვნე“.

აკადემიკოსმა ილ. ეფთ. რეპინმა წაიკითხა ლეონ ტოლსტოის ხასიათზე, ფიზიოგნომიკაზე და პლასტიკაზე; აკადემიკოსმა ვ. მ. ბეხტერევმა: „ლეონ ტოლსტოი და ხალხთა ერთიანობა“; პროფ. ვ. ნ. სპერანსკიმ პირადი მოგონება ლ. ტოლსტოის „შესახებ“; ს. ო. გრუზენბერგმა: „სულიერი დრამა ლეონ ტოლსტოისა“, აკადემიკოსმა ი. ი. ჰინცბურგმა: ლეონ ტოლსტოისთან „იასნაია პოლიანაში“.

ესტრადა მოკაზმული იყო აკადემიკოს ი. ჰინცბურგის-მიერ გაკეთებულ ქანდაკებით.

# საშინელებაა!...

პატარა დაბაში, რომელიც ჩემი სოფლიდან რამოდენიმე ვერსის მანძილზე იყო დაშორებული, ჩემი ძველი მეგობარი გამომძიებლად მსახურობდა. სიშორემ და მდგომარეობამ ისე დაგვაშორა ერთმანეთი, რომ წერილების წერაც შევწყვიტეთ და დავიწყებას მივეცით ჩვენი ძველი მტკიცე და წმინდა მეგობრობა... ეხლა კი, როცა საზაფხულოთ სოფლად ჩაველი—მომაგონდა ჩვენი ყვავილოვანი სიყმაწვილე, დაუბრუნებელი ოქროს ხანა და გული მიცემს ერთხელ მაინც გადავეხვიო.

დილით ადრე შევკაზმე ცხენი, ჩავიცვი, დავიხურე და გზას გავუდექი. როცა სანატრელ ადგილს მივუახლოვდი, უკვე სადილობის დრო იყო. გამომძიებლის სახლი ყველამ იცოდა.

იმ წამსვე მივაგენი და ხალისით შევედი ფართო, მწვანეთ გაშლილ ეზოში, სადაც რამოდენიმე ხეხილის ხე მუქაოდა.

როცა დავრეკე, კარები გამიღო უცნობმა ქალმა, რომლის მხიარულ სახეს ეტყობოდა ნაღველი არას დროს არ სწვევია...

— შეიძლება კოტეს ნახვა? მხიარული ხმით შევეკითხე უცნობ მანდილოსანს.

— მობრძანდით... ბატონო კოტე, სტუმარია!

ერთი წამიც და ჩვენ გადახვეული ვიყავით...

— მადლობა ღმერთს შენს ნახვასაც მოვესწარი... ასე უნდა ბიჭო? კოტე კითხვას კითხვაზედ მაყრიდა, პასუხს არ მაცლიდა და მეტი სიხარულისაგან ყველაფერზე იცინოდა.

ნასადილევს, როცა მზე საკმაოდ გადიხარა და მისი სიცხოველე სიგრილემ შესცვალა, ახლო მიდამოების დასათვალიერებლად წავედით.

— საცაა ჩემი ანიკოც უნდა დაბრუნდეს,—წყნარად, თითქოს თავისთვის სთქვა კოტემ.

— ჩემს გაკვირვებაზე მან შემომცინა და კმაყოფილი კილოთი მითხრა:

— უკვე სამი წელიწადია ქალი შევირთე... ანიკო ჩემ ცოლს ჰქვია... საცაა უნდა დაბრუნდეს, ნათესავებში არის ეს სამი კვირაა...

მალე მწვანე სერს შევუდექით... პატარა დაბა დაბლა და დაბლა გვრჩებოდა... ოთხივე მხრით შემოეკავებია მჭიდროთ შეკრულ გორაკებს და საკვირველი იყო, რატომ აქამდის არ გაექცნენ ადამიანთა უმსგავსო ბუნაგი, სახე-ჩამოტირებული დაბნეული სახლები, რომელნიც ბუდეებივით ჩამჯდარიყვნენ მაღალ და მწვანე ხეებში.

— გარეგნული სილამაზე, ჩემო ნიკო, არ აკლია ჩვენს დაბას, მაგრამ აქ ცხოვრება—ჯოჯოხეთია. ადამიანი რკინად უნდა იქცეს აქ, რომ იცხოვროს.

როცა სერის თავზედ ავედით, მოვიკალათეთ რბილ ბალახებში და მოსვენებას მივეცით. არსაიდან არ გვწვდებოდა ხმა და ჩვენ მარტოდ ვიყავით, რომელთაც გვაერთებდა ძველი კავშირი და მოგონებანი, ხოლო განშორების შემდეგ განცდილს ახლა უზიარებდით.

— მაშ შენ არ ხარ კმაყოფილი შენი ცხოვრებით?

— არა კეთილო, არა... შენ შესაძლოა ხედავდე, რომ კარგად მოვეწყე. სახლი ლამაზად მაქვს მორთული, მეუღლეთ კეთილი განწყობილება მაქვს, ყველა პატივისცემით გვეპყრობა, მაგრამ თუ გულში ჩაიხედავ—იქ სულ სხვას ნახავ: მოტეხილობას, მოწყენილობას, ადრე სიბერეს და გამოურკვეველ შიშს... გესმის, შიშს!...

მისი მშვიდი და წყნარი სახე სრულიად არ იძროდა... თითები კი შეუბრალებლად ბალახს წიწკნიდენ, თითქო მშვიდ სახის მაგივრად ესენი გამოსთქვამდენ კოტეს დარდსა და ვარამს...

საღამო ახლოვდებოდა... რომ შინ გვიან არ მივსულიყავით, მალე დავეშვით გორაკიდან. დიდხანს მივდიოდით ხმა-ამოუღებლად. ცოტა ვილაპარაკეთ, ცოტა რამ გაუზიარეთ ერთი მეორეს, მაგრამ ამ ორიოდე სიტყვებმაც საკმაოთ სთქვეს კოტეს ტკივილები. როგორც ახლო მეგობარი—ღრმად ჩავწვდი მათ და უთქმელი ტკივილები კი თითონვე დაათავა ჩემმა გრძნობამ.

თანდათან უახლოვდებოდით სახლს. ღამე ილამაზებდა თავს ათასგვარ სამკაულებით: ცქრიალა ვარსკვლავებით, ავსე მთვარით, დაფანტულ თეთრ ღრუბლებით, გრილი სიოთი და ჩუმ, დაურღვეველ, დამაძინებელ მყუდროებით.

— რა საღამოა!.. ერთად ერთი სიტყვები იყო კოტესი და ორი სიტყვა ისე იყო ამოსროლილი ადამიანის გატეხილ გულიდან, თითქო სწადდა ცხოვრების ერთი კეთილი მხარე მაინც ეპოვნა... ის სიტყვები თითქოს ნატვრა იყო უკეთესისა...

როცა აივანზე შევედით, მისაღებ ოთახში უცნობმა ქალმა სანათს აუკიდა...

— ოჰო! ჩემი ანიკოც მოსულა! წამოიძახა კოტემ.

ოთახში შევედით...

— ანიკო, გაიცანი ჩემი მეგობარი. ჩემი მეუღლეა, ანიკო! სიხარულით შეგვაგება კოტემ ერთმანეთი.

ნელმა ჟრუანტელმა დამიარა ტანში... კოტეს რომ შეკრთომა არ შეემჩნია, ძალით გავიღიმე და ხელი მძიმედ ჩამოვართვი. ანიკომაც უცბად იცნო ჩემი სახე და მის ლოყებს სიწითლე შეეპარა. იმ ერთ წუთში მრავალი რამ ამოვიკითხე მის დარცხვენილ სახეზედ. მონათესავე გული ჰგრძნობდა, რასაც ის განიცდიდა. თითქო მზის ცხოველმა სხივმა გაჰკვეთა უეცრად წარსული და ანიკოს დიად რამედ, ლეგენდად მოეჩვენა წარსულის წუთები. ერთი წუთით კიდეც იგრძნო ტკბილი განცდა და იმ წუთშივე ჩაკვდა ის მის გულში... უიმედობის ჩრდილმაც კი გადაჰკრა მის მოწყენილ თვალებს. აქ ქალს თითქო სცხვენოდა ქალობა.

მდგომარეობის გამოსაკეთებლად ანიკომ ორიოდე სიტყვა წაილუღლუღა და იქავე ქმარს მიმართა:

— კოტე, ეხლა კარგია აივანზე ჩაის დალევა. ეხლავე გავაწყობ...

კოტე ტკბილად შემომცინოდა და მიამბობდა, რომ ანიკო დიდად უმსუბუქებდა ამ ჯოჯოხეთში ცხოვრებას.

— რომ ანიკო არ მყავდეს, ეხლა დაცემული ადამიანი ვიქნები... ერთადერთი არსებაა, რომელთანაც შემიძლია ვიგრძნო, რომ მეც ადამიანი ვარ.

— ყველაფერი მზადაა! მოგვესმა ნაცნობი ტკბილი ხმა და ჩვენც ხელიხელ გაყრილი აივანზე გავედით.

გარედ გრილოდა... ორივემ სიამოვნებით მოვსწიეთ თამბაქო. ანიკო კითხვებს მაძლევდა, რაზედაც მოკლედ ვუპასუხებდი და თანაც ვცდილობდი არ შემეხედა მისთვის, რომ რაიმე სისულელე არ წამომეროშა...

— ძალიან მხიარული მეზობელი არ გვყავს?! ა, ნიკო! ღიმილით შემეკითხა კოტე.

აივნის პირდაპირ ერთ-სართულიან დაბალ ხის სახლში უცნობი ცუდი ხმით მღეროდა რუსულად:

„Дай милый другъ на счастье руку...

„Гитары звукъ разгонитъ скуку“...

და ყოველთვის როცა ბოლოს მიაწევდა, ყალბს და ძარღვების ამშლელ ხმას ამოუშვებდა, რაზედაც ანიკო გულიანად იცინოდა...

— ა, ნიკო, არ მოგწონს თუ? ხუმრობის კილოთი მეკითხებოდა კოტე.

— რას ამბობ კაცო, მომღერალიც მაგას ჰქვია!

— შენ ხუმრობ ნიკო და მაგისაგან კი სული და გული შეწუხებული... ის მამა-ცხონებული, მოდამდება თუ არა, როცა კაცს ცოტაოდენი მოსვენება მოგენატრება, დაჯდება და ჰყმუის იმ ხმით... მეც ვზივარ და ძალაუნებურად ვისმენ მის გაჭირებულ სიმღერას.

თითქოს კოტეს ჟინზე უცნობი ისევ იყრონჭებოდა!

...„на счастье руку

...разгонитъ скуку“...

— ა, როგორ მოგწონს?! სულ ასე... ზამთარ-ზაფხულ სულ „რუკუ“ და „სკუკუ“!

მომღერალი მიყუჩდა... დაეშვა ტკბილი სიჩუმე და თანაც ნაღვლიანი ბინდი... ფართო მოედანზე, რომელიც პატარა ქალაქის შუაგულში იყო, უკვე აენთოთ სანათი. ნაღვლიანი და მკრთალი ის გრძნობა-დაკარგულ და თვალებ-მიფშუტულ მომაკვდავს ჰგავდა, რომელსაც სიცოცხლის არავითარი ნიშანი არ ეტყობა.

აივნისკენ დახრილი ხის ტოტები ირხეოდენ და მწვანე ფოთლების საამო სუნს აკმევდენ... თითქოს ისინიც კი თანაუგრძნობდენ ჩვენს მოწყენილ სიჩუმეს და ლონე მიხდილივით აყვინთავებდენ ფართო ფოთლებს.. და პირველად ის გრძნობა იბადებოდა, რომ ადამიანმა შებილწა ბუნებით გასაღმერთებელი ეს დაბა, გარყვნა ის თვისი გარყვნილი სულით.

კიდევ დიდხანს ვისხედით ხმა-ამოუღებლად... მოსამსახურე ქალმა აალაგა მაგიდა და დაგვტოვა ისევ სამნი—ყველა მოწყენილი და დადუმებული.

რომ ჩვენ სიჩუმეს და მოწყენას ბოლო მიჰღებოდა ისევ, ანიკომ დაიწყო ლაპარაკი; იხსენებდა ნათესავებში გატარებულ დღეებს...

მის მოკლე-მოკლე მოგონებებს შემდეგ ისევ ვარდებოდა დუმილი, რომლისაც სათითაოდ ყველას გვრცხვენოდა, მაგრამ ვერც ერთს ვერ მოეკრიბა ლონე მის გასაფანტავად. დრო გადიოდა. მთელს კუთხეში ძილი გამეფებულიყო... მშვენიერ ღამეს დაეყუჩებია პატარა ქალაქის უაზრო და წვრილმანური ცხოვრება... ყველას ეძინა.

ჩვენც მალე ავდექით... ჩემთვის უკვე დაეგოთ. პატარა ხნის შემდეგ მთელ სახლში მკვდართა სიჩუმე გამეფდა.

ისისიყო უნდა მიმეხუჭა თვალი, ჩემი ოთახის კარები ნელა გაიღო და თეთრში ჩაცმული კაცი დავინახე...

— კოტე, შენ ხარ?!

უკანასკნელი ფრთხილი ნაბიჯით მომიახლოვდა, მძიმედ ჩამოჯდა ჩემს საწოლზე და თვალებში ჩამაშტერდა.

— ნიკო, შენ მგონი გეძინა და მოგაფხიზლე. ბოდიშს ვითხოვ. ჩქრ—შეიძლება არ ეძინოს და ... მეთქი. ხომ არ შეგაწუხებ?

— არა კოტე, არა ღმერთს გეფიცები..

ოთახში ბნელოდა. მეზობელ ოთახიდან ღრმა სუნთქვის ხმა მოისმოდა.

— გესმის, რა ტკბილად სძინავს ჩემს ანიკოს! აი იქა წევს ანიკო—და თითი მეზობელ ოთახის კარებს მიაშვირა...

კოტემ ახლოს მოიწია—ეტყობოდა ლაპარაკს აპირებდა.

— ნიკო, შენმა უეცარმა მოსვლამ უფრო გამიმწვავა იარები... შენმა მოსვლამ სულ სხვა ცხოვრება მომაგონა. ბავშვივით გამახალისა და იმავე დროს ძალზე დამცა. დამცა იმიტომ, რომ დამანახვა ჩემი მეტ-ბარგობა, ჩემი სიტიტვლე და სიძაბუნე, ჩამორჩენა. როგორ გგონია—ვინ არის აქ დამნაშავე? მე არ გიპასუხებ—შენ თითონ იგრძენი. გეტყვი მხოლოდ, რომ სიყრუემ სული მომიშხამა. ოთხივე კუთხისკენ რომ მიიხედო, ისეთ ადამიანს ვერ ნახავ, რომ მასში რაიმე ჰპოვო. მე მათი არაფერი მესმის—იმათ ჩემი. მათი ცხოვრება სულ სხვაა. სულ სხვა რამე ჰკვებს მათ დახავსებულ სულსა და გონებას. შენ კი, ალბად, სულ სხვა ხარ ნიკო. შენ ალბად იცი ცხოვრება, გიცხოვრია და ბევრიც გიგრძვნია და განგიცდია!..

ლაპარაკის დროს კოტე ხანდახან შეჩერდებოდა. ყურს დაუგდებდა ქალის სუნთქვას და ოდნავ გასაგონი ხმით იტყოდა:

— ხომ არაფერი ესმის ანიკოს, ა? ნუ გაიგონებს—უკეთესია...

— დარწმუნდი, რომ მთელი ჩემი ცხოვრება უაზრობაში გადის. დაწვრილმანებულ სულსა და გონებას იმის მეტი არაფერი უნატრია, რომ მაგიდას საფარი წმინდა იყოს, წვენს მეტი მარილი არ უყონ, საღამოობით ქალალდი წაითამაშო ან და ღვინის დალევაში შეეჯიბრო ვისმეს. არაფერია ისეთი რომ გაგიტაცოს, ერთი წუთით მაინც გაცხოვროს... მომბეზრდა ეს სოფელი, მარტოობა. სულ სხვა უნდა სულს, სულ სხვა რამეს ეხმობს, სხვას ელის—და მოლოდინი მოლოდინად რჩება...

— წეღანაც გითხარი—მხოლოდ ანიკო მიმსუბუქებს ცხოვრებას, მამაგრებს... ანიკოც მე დავლუპე—მე გარდავქმენი ის... სულ სხვა შეიქნა, სულ სხვა... ნელ-ნელა ეჩვეოდა სოფლის ყრუ ცხოვრებას. ანებებდა თავს წიგნებს—სოფლად გამოუსადეგარ საქმეს. ავიწყდებოდა წარსული და შეუმჩნევლად ზიარობდა მისთვის ახალს ცხოვრებას... რამოდენიმე ხნის შემდეგ ანიკო შეიპყრო სრულის სულიერმა სიმშვიდემ, შეისისხლხორცა მდგომარეობა და შეიქნა ჩვეულებრივი სოფლის—ქალი. საბრალო ადამიანს თავისი თავი სულ ბედნიერათ მიაჩნია. არც კი ენატრება სხვა ცხოვრება. მხოლოდ პირველად, ახალ ცხოვრების პირველ საფეხურზედ, ისიც აღელვების დროს, ყრუდ წამოიძახა:—„ჩვენი ცხოვრება, კოტე, ერთიანი საშინელებაა! მეშინია ამ სიჩუმისა“! მას შემდეგ დამშვიდდა და აღარ უწოდებია მისთვის „საშინელება“.

ოთახიდან სუნთქვა აღარ გვესმოდა. თითქო ფეხის ხმაც კი შემოგვესმა...

— ა! ანიკოს გაჰღვიძებია! ღმერთო მომკალი, ღმერთო მომკალი! ხვალ... ხვალ ნიკო... ხომ მაინც ჩვენთან იქნები! და შეკრთალი კოტე ფეხ-აკრეფით გავიდა ოთახიდან.

მძიმე ღამე ეფინა მიდამოს. მხოლოდ მთვარის შუქი იმდენად ანათებდა, რომ ოთახში საგნების გარჩევა კიდევ შეიძლებოდა. ხანდახან შემოირბენდა აივანზე ჯაჭვიდან ახსნილი მურა-ძაღლი, გაირბენდა ფიცრებზედ, დაჰყეფდა და ისევ ძირს ჩადიოდა.

არ მეძინებოდა. სასადილო ოთახში მწყობრად მუშაობდა კედლის საათი, დრო-გამოშვებით ყურს ესმოდა ადამიანის ღრმა სუნთქვა და ყველაფერი ჰმოწმობდა გამეფებულ სიჩუმეს.

მეზობელ ოთახში იწვა ისიც. ეს სიახლოვე სწვავდა მთელ სხეულს და ჟრუანტელი რბოდა ტანში. მკერდს აწვებოდა მძიმე ტანჯვა და ანგარიშ მიუცემლად იზიდავდა იმ ოთახისკენ. მაგრამ ერთი ფიქრიც ხომ იქ შესვლაზე, მხოლოდ მიუვიწყებელ გრძნობათა გასაღვიძებლად, უფსკრულს სდებდა ორ მეგობართა შორის. მხოლოდ ფიქრიც კი სწყვეტდა ყველაფერს.

ღამეც არ აპირებდა დასრულებას და მაჯლაჯუნასავით აწამებდა ტვინს, აწამებდა მთელ სხეულს. ტოტების ნელი შრიალი შემოეპარებოდა ხოლმე ყურს, თითქო ამბობდა:—ჯერ კიდევ ღამეა, ჯერ კიდევ საშიში სიბნელეა თავისი მოჩვენებებით. გატანჯულს სხეულს ენატრებოდა ტკბილი რული, მოსვენება და რამდენადაც ძლიერი იყო თავდავიწყების სურვილი, იმდენად უფრო ღრმავდებოდა ღამე და არ უჩნდა ბოლო, არც საზღვარი.

ადამიანის ღრმა სუნთქვა, საათის მწყობრი მოძრაობა, ტოტების ჩუმი შრიალი, მთვარის სევდიანი სინათლე და გამოუცნობი შიში, სიჩუმის დარღვევის შიში—ჰმოწმობდენ, რომ იყო ღამე, რომ მხოლოდ ღამე ცხოვრობდა და მასთან ერთად დაუსრულებელი ლოდინი, დაუსრულებელი ტანჯვა.

როცა წარმოვიდგინე, რომ ძილი შეუძლებელია—ფრთხილად ავდექი და ფანჯარას მივეყრდნე შუბლით.

ცა შეუმჩნევლად ინაცრებოდა. განთიადის მოახლოვებით გახალისებული საჩქაროდ ვიცვამდი ტანს.

განთიადი თანდათან ლონიერდებოდა. საჩქაროდ გადვიცვი მოსახურავი და გასასვლელ კარებს მივადექი. დიხანს ვერ გადამეწყვიტა გაღება.

...გრილმა სიომ შემირხია მოსახურავის კალთები. ტოტების შრიალი ხემ ხეს გადასცა და შორით ისმოდა ერთიანი ტკბილი ხმა, ფოთლების ნაზი გაღვიძება...

უკვე ნათლად შეიძლებოდა საგნების გარკვევა, როცა ცხენს მოვახტი და ჯერ კიდევ მთვლემარ გზას თოხარიკით გაუდექი.

ქოჩორ-დავარცხნილ მთებზე და ფერდობებზე ზანტად მისცურავდა გამოღვიძებული ნისლი... სიცოცხლე თავისას ჰქმნიდა და ტკბილი განცდა ისაკუთრებდა ადგილს... სიმჩატეს ჰგრძნობდა მთელი სხეული და ღრმად ვსუნთქავდი დილის გრილ ჰაერს.

ცხენსაც ეტყობოდა გამოცოცხლება და ჩქარი ნაბიჯით მიიწევდა წინ.

როცა უკანასკნელად მოვიხედე—დაბა აღარ მოსჩანდა. ოთხივე მხრით მჭიდროდ შემოკრულ გორაკებს მაგრად ჩაეხუტა გულში ადამიანის უმსგავსო ბუნაგი. უხაროდა ჩემს გონიერ თანამგზავრსაც თავისუფალი ჰაერი და თავ-აღერებული ჰიხვინით მიიწევდა შინ.

***

რამოდენიმე დღის შემდეგ კოტესაგან წერილი მივიღე: „ძმაო ნიკო! გაოცებული ვარ შენი უეცარი წასვლით. მიზეზი ჩემთვის გამოურკვეველია, ან რა უნდა ყოფილიყო? რამდენადაც უეცარი იყო შენი ნახვა და ტკბილ წამად მომეჩვენა ის ორიოდე საათი, რომელიც ჩვენთან დაჰყავი—იმდენად მწარე და იარების ამშლელი იყო იგი ჩემთვის. არა მარტო ჩემთვის—ანიკოზედაც დიდი გავლენა იქონია. არ ვიცი რა მიზეზია—შენს შემდეგ ანიკოს ცვლილება ეტყობა... ხშირად იგონებს ქალაქის ცხოვრებას და ისეთ რამეს იტყვის ხოლმე, რაც მეც მტკენს გულს, მეც მაფიქრებს და მაღონებს... გესმის, გულს მტკენს, ეკალივით მესობა! ჩემს ცხოვრებას თვალ-უწვდენი კედელი აფარია წინ. ვერც გადავაბიჯე, გადასაფრენი ფრთები კი არა მაქვს. ვზივარ მის საძირკველთან და ვუცდი.. რაღაცას და ვიღაცას ვუცდი... აღარაფერი დამრჩა სულში—თითქო ერთ მძლავრ ქარტეხილს გაუნიავებია ყველაფერი, ამოუხვეტია და გაუბნევია. აღარაფერი ენატრება სულს. ყველაფერს გავყიდი თუ კი შეიძლება ამით თავდავიწყება ვიყიდო! ანიკო მართალია, როცა ჩვენს ცხოვრებას „საშინელებას“ უწოდებს. მეც ვამბობ, მეც—რომ საშინელებაა!!“...

სერ. კლდიაშვილი.

ქ. მოსკოვი.

# 8 მარტი დ. საჩხერეში.

დიდი მგოსნის სამშობლო კუთხემ განსაკუთრებით აღნიშნა მისი გარდაცვალების ორმოცი დღე. ყველაფერი მოაწყეს წინასწარ შემუშავებულ პროგრამის მიხედვით.

8 მარტს მშვენიერი მზიანი დღე იყო. დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი ადგილობრივ წმ. ნინოს ტაძარში და მის გალავანში წირვის მოსასმენად. მთელი საჩხერე დაესწრო. მოვიდენ აგრეთვე ქორეთის, არგვეთის, სავანის, მერჯევის და სხვა სოფლების საზოგადოებიდან მცხოვრებლები, უმეტესი ნაწილი გლეხობა. ამ სოფლებიდან იყვენ ადგილობრივ სკოლების მასწავლებლებიც; დაესწრენ აგრეთვე საჩხერეს ოთხი ქართული სასწავლებლის და ერთი სომხის სკოლის მოწაფეები მასწავლებლებითურთ.

ამ დღისათვის ქუთაისის კომიტეტმა გამოჰგზავნა დ. საჩხერეში გრიგოლ ლაღიძე და პავლე იაშვილი. წირვა დაიწყო მეათე საათზე.

გათავდა თუ არა წირვა, პროცესია გაემართა ლიტანიით მგოსნის სასახლისაკენ სოფ. სხვიტორს. წინ მიუძღოდენ პროცესიას მღვდლები, მათ წინ მიჰქონდათ დროშები. მღვდლების შემდეგ მოწაფე ქალებს მიჰქონდათ აკაკის დიდი სურათი, რომელიც გამოსვენების დღესაც ექირათ. სურათი მშვენივრად იყო მორთული ყვავილებითა და ფოთლებით. ბავშვები სურათს გზას უფენდენ ყვავილებით. შემდეგ მიდიოდენ მოსწავლეები მასწავლებლებითურთ, გვარეულობა და ნათესავები.

მისვლისას ხალხმა გაავსო აკაკის სასახლის ეზო და კარმიდამო. პატარა ეკლესიის გვერდით სწორედ ის ხე, რომლის ქვეშ საგრილობელში აკაკის უყვარდა ხოლმე ჯდომა და ფიქრი და სადაც სურდა დასაფლავებულიყო, მოკაზმული იყო მისი სურათით და ყვავილებით. ყვავილებითვე და სუროს ფოთლებით იყო მორთული აკაკის სასახლის აივანი, რომლის შუაგულში ეკიდა მგოსნის სურათი. რიკულების მოაჯირზე იდგა ოთხი ჩოხაში გამოწყობილი 7 წლის ბავშვი.

პანაშვიდი გადიხადეს სწორედ ხსენებულ ხესთან. პანაშვიდის დროს გალობდა ადგილობრივ მოწაფე ვაჟთა და ქალთა გუნდი მასწავლებელ პ. კინწურაშვილის ლოტბარობით.

როცა გათავდა პანაშვიდი, გაიმართა „დილა“. სიტყვას ამბობდენ აკაკის სასახლის აივნიდან, ხალხი კი ეზოში იდგა და უსმენდა მოლაპარაკეთ.

პირველად ილაპარაკა საჩხერეს სამოქალაქო სკოლის მასწავლებელმა ი. კიკაჩეიშვილმა. მის გარდა ილაპარაკეს გრ. ლაღიძემ, პავლე იაშვილმა და ან. იურკევიჩის-ქალმა.

ხუთმა მოწაფე ვაჟმა და სამმა მოწაფე ქალმა წარმოსთქვეს აკაკის ლექსები. როდესაც წერეთლის ბავშვი, სამოქალაქო სკოლის მოწაფე, კითხულობდა „თორნიკე ერისთავიდან“ ომის შესახებ ლექსებს, ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ ბევრს მსმენელს მოჰგვარა თვალზე ცრემლი.

ბოლოს გუნდმა აღასრულა „საუკუნო ხსენება“, რომელიც მოისმინა ხალხმა მუხლ-მოდრეკით.

იმ დღეს მრავალი სურათი მგოსნისა დაურიგეს ხალხს უსასყიდლოდ.

ამ დღეს ყველა იქ დამსწრემ ტკბილი წამები განიცადა.

აი რა სთქვა, სხვათა შორის ან. იურკევიჩის ქალმა:

„ძვირფასო მეზობლებო! ორმოცი დღე შესრულდა მას შემდეგ, რაც ამ კურთხეულ სახლის ზღუდეთა შორის უკანასკნელად ამოიგმინა ბედკრული სამშობლოსათვის მრავალ ტანჯულმა გულმა. დღეს ორმოცი დღე არის იმ შავბნელი დღიდან, რაც „ცა ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტმა“ პატარა საჩხერემ გლოვითა და ზარით აუწყა მთელს საქართველოს: „აკაკი აღარა გვყავსო!“ შესამჩნევი, განსხვავებული ბედი არგუნა ამ მხრივ განგებამ ჩვენს კეკლუცსა და კოხტა მხარეს. ამ 75-ის წლის წინად მან პირველმა იგრძნო საქართველოს კალთაზე წარმოშობა მომავალი მოჭირნახულე „პატარა კაკოსი“ და მანვე ჩაიკლა თავის წიაღთა შინა უკანასკნელი კვნესა მხცოვანის მოხუცისა, ამიტომაც იყო ალბად, მეზობლებო, რომ მე, თქვენი მიწა-წყალის შვილს, თქვენში დაბადებულს და თქვენშივე აღზრდილს, რომელმაც უკანასკნელს სავანემდე მივსდიე ძვირფასს კუბოს, რაღაც უცნაური სურვილი მომივლიდა ხოლმე მიმეძახებია გზა-და-გზა მოზღვავებული ხალხისათვის, რომ მართალია აკაკი მთელს საქართველოს ეკუთვნოდა, მაგრამ იგი მაინც ჩვენი-საჩხერლებისა იყო,—რომ საჩხერის თვალწარმტაცმა სილამაზემ შთაბერა მას ლამაზი სული, სავანის გლეხის დედიკაცმა შეაწოვა მას მადლიანი და ნოყიერი ძუძუ, სხვიტორის კოხტა ხეობაში შეისხა ფრთები იმისმა ლაღათ მონავარდე მუზამ, ტკბილად მოჩუხჩუხე ჩიხურამ ამცნო მას საიდუმლო ნაღვლიანი ჰანგი ღვთაებრივის ჩანგისა და ამაყად მდგომმა, მამაპაპის დიადი წარსულის უტყვმა მოწმემ, შეუპოვარმა „მოდი-ნახემ“ ჩასძახა მას მქუხარე ხმა დაფისა და ნაღარისა, რომელიც განუწყვეტლივ უხმობდა გმირებს და შეუბრალებლად უგმირავდა გულს ნესტანის მოდალატეთა და ორგულთ.. მინდოდა მიმეძახებია, მაგრამ ყოველივე პირადი, ყოველივე კერძო. სცხრებოდა იმ დიადი ეროვნული გლოვის წინაშე, რომლითაც აცილებდა მას მომხიბლავი კოლხეთის ძაძით მოსილი მთა-ბარი და უმასპინძლდებოდნენ გულ-გადამლილი თვალუწვდენელი ქართლის მიდამოები.., ჭეშმარიტად-თვითეულს ჩვენგანს დიდსა და პატარას მუდამ შეუძლიან იამაყოს მით, რაც ხვდა წილად ჩვენს სულმნათ მეზობელს.

მაგრამ ეს არ კმარა... და სწორედ დღეს, როდესაც ჩვენ ამ რამდენიმე წუთის შემდეგ მუხლმოყრით კვლავ საუკუნო ხსენებას უგალობებთ მას, დეე თვითეულმა ჩვენგანმა მტკიცედ აღუთქვას თავის თავს ამ წმინდა ადგილზე, რომ არ უღალატებს აკაკის მიერ ნაანდერძევ ძვირფასს იდეალებს, არ ჩააქრობს ნაპერწკალს, რომელიც ოდესმე, უეჭველია, ხვდა აკაკის გულში მუდამ მგზნებარე ღვთაებრივი ცეცხლისაგან და არ დააგდებს იმ ეკლიან გზას, რომლითაც გმირულად ვიდოდა იგი, ვიდრე არ იხილავს, დღეს წამების ჯვარზე გაკრულს, იმის ერთად-ერთ სატრფო ნესტან-დარეჯანს კვლავ თავისუფალსა და საზეიმოდ მორთულ-მოკაზმულს.—

ი.—შვილი.

რედაქტორ-გამომცემელი
გრიგოლ დიასამიძე.

ხელოვნურად შეზავებული  სამკურნალო და ხილეულობის წყალი

მიტროფანე ლაღიძე და ამხ.

მზადდება საუკეთესო ხილეულისწვენისაგან, წმინდა შაქრით, ქიმიურად გაწმენდილი მასალებისაგან, გამოხდილი და ნადუღი წყლით.

გემო და სუნი საამური აქვს

ფირმა დაჯილდოვებულია წყლის საუკეთესო ღირსებისათვის დიდი ოქროს და ვერცხლის მედლებით და ცნობილია სრულიად უვნებლად თბილისის გუბერნიის სამკურნალო მმართველობისაგან (№ 5792)

ქარხნები იმყოფება: თბილისში—გოლოვინის პროსპ. № 6, ტელეფ. № 411. ქუთაისში—პუშკინის ქუჩა № 5.